პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 292 (9452) | პარასკევი, 12 დეკემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში

წარმატებით დავამთავროთ სამეურნეო წელი — მოწინავე (1-ლი გვერდი).

მივცეთ სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია (1-ლი გვერდი).

გულმოდგინედ სწავლობენ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს და ი. ბ. სტალინის გენიალურ ნაშრომს (მე-2 გვერდი).

პ. ბაქრაძე — კომუნისტთა თეორიული სწავლება—ახალი ამოცანების დონეზე (მე-2 გვერდი).

საკოლმეურნეო სოფლის მიღწევათა დემონსტრაცია (მე-2 გვერდი).

ყოველდღიურად ვიზრუნოთ მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის (მე-3 გვერდი).

ფელეტონი—ჩვენი ნაცნობი ედუარდი... (მე-3 გვერდი).

წერილები რედაქციას — მეტი ყურადღება დოკუმენტალური მასალების დაცვის საქმეს. რა უშლის ხელს მეცხოველეებს (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

წარმატებით დავამთავროთ სამეურნეო წელი

ახალ სტალინურ ხუთწლედში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში 11 მილიარდ მანეთზე მეტ კაპიტალდაბანდებას. მარტო შავი მეტალურგიის საწარმოებში და ელექტროსადგურების მშენებლობაზე დაბანდებული იქნება 3.400 მილიონი მანეთი. მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულებამ მეხუთე ხუთწლედის უკანასკნელ წელს 15 მილიარდ მანეთს უნდა გადააჭარბოს, ნაცვლად 1950 წლის 8.600 მილიონი მანეთისა. ახალ ხუთწლედში მკვეთრად იზრდება თუჯისა და ფოლადის გამოდნობა, ქვანახშირისა და მარგანეცის ამოღება, ელექტროენერგიის გამომუშავება, ლითონსაჭრელი ჩარხებისა და საშენი მასალების წარმოება. რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის ამ წამყვანი დარგების დიდ განვითარებასთან ერთად 67 პროცენტით უნდა გაიზარდოს მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის პროდუქციის გამოშვება.

„სოციალისტური შეჯიბრების დიადი ძალა, — ნათქვამია პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, — **მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის ერთსულოვანი მისწრაფება — დაიცვან მშვიდობის საქმე, მშრომელთა ურყევი გადაწყვეტილება—ააშენონ კომუნისტური საზოგადოება—წარმართულ უნდა იქნას ახალი ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისაკენ“.**

მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, დიდი სტალინის გენიალური ნაშრომით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და ყრილობის დასკვნითს სხდომაზე წარმოთქმული შთამაგონებელი სიტყვით აღფრთოვანებული ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ენერგიის დაუზოგავად იბრძვიან იმისათვის, რომ ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულონ მეხუთე სტალინური ხუთწლედის დავალებანი, მიაღწიონ სოციალისტური სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას, შემდგომ განამტკიცონ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება, ახალი, დიდი ნაბიჯი გადადგან წინ, კომუნიზმისაკენ განვითარების გზაზე.

ფართოდ გააჩაღეს რა პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავი, დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავისა და სტალინური კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება, რესპუბლიკის მრეწველობის მთელი რიგი დარგებისა და ცალკეულ საწარმოთა კოლექტივებმა შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს.

სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე მაღალნაყოფიერად მუშაობენ და მტკიცედ ინარჩუნებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას ტყვარჩელელი მეშახტეები, რომლებიც სასახელოდ ასრულებენ მეშახტის დღეს დიდი სტალინისათვის გაგზავნილი წერილით ნაკისრ ვალდებულებას და ქვანახშირის ამოღების ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში განაღდებისათვის იბრძვიან. ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა 4 დეკემბრისათვის დაამთავრა ქვანახშირის ამოღების მიმდინარე წლის გეგმის შესრულება და გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 16 პროცენტით გაადიდა ქვანახშირის მოპოვება.

დიდი შრომითი აღმავლობაა ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში. ჭიათურელმა მაღაროელებმა 9 დეკემბრისათვის უზრუნველყვეს წლიური გეგმის განაღდება.

უკვე მეორე თვეა მომავალი წლის ანგარიშში მუშაობს ტყიბულქვანახშირის ტრესტის გელათის შახტის კოლექტივი, რომელმაც 29 ოქტომბრისათვის შეასრულა ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა. ასევე დაწინაურდნენ და წლიური გეგმები უკვე შეასრულეს შრომითი რეზერვების სამინისტროს თბილისის სამსხმელო-მექანიკური, სპილენძსაგლინავი, საქართველოს ცემენტის ქარხნების, მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის, თბილისის მაკარონის ფაბრიკისა და ათობით სხვა საწარმოს კოლექტივებმა.

რესპუბლიკის მრეწველობის მთელი რიგი დარგებისა და საწარმოების მიერ ამ წარმატებათა მოპოვება უზრუნველყო ფართოდ გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებამ, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფამ, მანქანა-დანადგარებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებამ, დისციპლინის განმტკიცებამ.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის მრეწველობის ზოგიერთი საწარმო გეგმას ვერ ასრულებს და ათობით მილიონი მანეთის პროდუქციას აკლებს სახელმწიფოს. მესამე კვარტალში და განსაკუთრებით სექტემბერში მოპოვებული წარმატებები ვერ განამტკიცა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ოქტომბერ-ნოემბერში ჩამორჩა. ეს ჩამორჩენა მით უფრო საყალოა, რომ ამ ქარხნის მეფოლადეები ფოლადის გამოდნობის ხუთწლიანი დავალების ოთხ წელიწადში შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები არიან.

ნოემბრის საწარმოო გეგმის შესრულებაში ჩამორჩა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანაც. ჩამორჩენის მიზეზი, როგორც ეს ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ამ დღეებში მოწვეულ კრებაზე გამოირკვა, სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელობის ცუდი მუშაობით არის გამოწვეული. ქარხანაში მრავალი საამქროა. თვითეული მათგანის გამართულ მუშაობაზე დამოკიდებულია საერთო წარმატების მოპოვება. ზოგიერთი საამქრო კი სისტემატურად ვერ ასრულებს საგეგმო დავალებას და ამის გამო ფერხდება დანარჩენი საამქროების მუშაობა. გარდა ამისა, არის წუნდებული პროდუქციის გამოშვების, ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის მრავალი შემთხვევა, სუსტია მზა ნაწარმის ხარისხის კონტროლი. ყოველივე ეს საბოლოო ანგარიშით იწვევს ჩამორჩენას, გეგმების შეუსრულებლობას.

მრავალი საწარმო საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმას თითქოს ასრულებს, მაგრამ ვერ იცავს ასორტიმენტს და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, მიდის ნაკლები წინააღმდეგობის გზით, დიდი რაოდენობით უშვებს ისეთ პროდუქციას, რომელზეც მოთხოვნილება ნაკლებია. მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია თვეობით და ზოგჯერ წლობითაც ხელუხლებლად აწყვია საწყობებში.

ბევრ საწარმოში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ფორმალიზმი სოციალისტურ შეჯიბრებაში. სუსტია შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მიერ. ხშირად ყველა მუშამ არ იცის, თუ რა ვალდებულება აქვს ნაკისრი საწარმოს კოლექტივს. ეს იმის შედეგია, რომ პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები ყოველდღიურად არ განუმარტავენ მუშებს ახალი ხუთწლედით დასახულ ამოცანებს, არ რაზმავენ მათ საწარმოო გეგმის აუცილებლად შესრულებისათვის საბრძოლველად.

ამხანაგმა გ. მალენკოვმა პარტიის XIX ყრილობაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა: **„არ შეიძლება შევურიგდეთ ასეთ ნაკლოვანებებს მრეწველობის მუშაობაში. სახელმწიფო გეგმა კანონია. ყველა საწარმო მოვალეა შეასრულოს დაწესებული სახელმწიფო დავალებანი და უზრუნველყოს სახალხო მეურნეობა მისთვის საჭირო პროდუქციით“.**

საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა სამეურნეო წლის დარჩენილი დრო მაქსიმალური ნაყოფიერებით გამოიყენონ ჩამორჩენის აღმოფხვრისა და ყველა საწარმოს მიერ წლიური გეგმების აუცილებლად შესრულებისათვის. ამავე დროს უნდა მივაღწიოთ ასორტიმენტისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზუსტად დაცვას, წუნის აღკვეთას, პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების მაქსიმალურად გადიდებას.

თვითეული საწარმო ახალ წელს უნდა შეხვდეს საამაყო საწარმოო მაჩვენებლებით.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა

ჭიათურა, 11 დეკემბერი. (საქდესი). ფართოდ გააჩაღა რა სოციალისტური შეჯიბრება წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივმა 9 დეკემბერს შესრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. განსაკუთრებით მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს სტალინის სახელობის და დიმიტროვის სახელობის მაღაროთასამართველოების კოლექტივებმა, რომლებმაც ათასობით ტონა მარგანეცი ამოიღეს მომავალი წლის ანგარიშში. სტალინის სახელობის მაღაროთასამართველოს გამაუჯჯობესებელი ფაბრიკის კოლექტივმა გააუმჯობესა მადნის გაუხვების ტექნოლოგია და წელს სახელმწიფოს დაუზოგა 1.130 ათასზე მეტი მანეთი, 5 პროცენტით გაადიდა მაღალხარისხოვანი მარგანეცის გამოსავალი.

მივცეთ სამშობლოს მეჯი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია

★

ბათუმელ მეფანერეთა წარმატება

ბათუმი. (საკ. კორ.). ფანერის ქარხნის კოლექტივი ახალი საწარმოო გამარჯვებით შეხვდა სტალინური კონსტიტუციის დღეს. 11 თვის დავალება შესრულებულია გადაჭარბებით. საგრძნობლად გაუმჯობესებულია გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობას ინარჩუნებს მაცივრის დამამზადებელი საამქრო, რომელმაც წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის გაანაღდა და მას შემდეგ 1953 წლის ანგარიშში მუშაობს. ამ საამქროს მოწინავე დურგლები — კომკავშირელი ა. კაკაბაძე და ი. შვანგირაძე დღიურ დავალებებს სისტემატურად 250-280 პროცენტით ანაღდებენ. ცვლაში ორ-ორნახევარ ნორმას ასრულებენ მღებავი დ. კოსტენკო და მეპაკეტე ვ. თავართქილაძე.

კარგად მუშაობს სახერხი საამქროც. საამქროს კოლექტივმა 11 თვის გეგმა 104 პროცენტით შეასრულა. აქ შრომაში ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ სტახანოველი მედაზგეები — ვ. ბახტაძე და ე. მაგილიუკი.

მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითს იძლევა საავეჯო საამქრო, რომლის კოლექტივმა ნოემბრის გეგმა 109,3 პროცენტით გაანაღდა. ამ საამქროს ახალგაზრდა მუშები — კომუნისტი ნ. პასკალი და კომკავშირელი ნ. ქოჩიშვილი დღეში 2-3 ნორმას ასრულებენ. ცვლის დავალებას 150-200 პროცენტით ასრულებს კომკავშირელი რ. ოსეფაიშვილი, რომელმაც ახლახან აითვისა დურგლის პროფესია.

ქარხანაში წელს აპრილში დაიწყო მუშაობა კომუნისტმა თ. კირიჩენკომ. მან უკვე შეასრულა წლიური დავალება. ამხ. კირიჩენკოს მიერ გამოშვებული პროდუქცია მხოლოდ უმაღლესი ხარისხისაა.

მეფანერეები აძლიერებენ მუშაობის ტემპს და იმისათვის იბრძვიან, რომ ვადაზე 10 დღით ადრე შეასრულონ წლიური გეგმა.

ვაღდებულება გაანაღდეს

ბორჯომის მინერალურ წყალჩამომსხმელი ქარხნის კოლექტივმა პირნათლად გაანაღდა სტალინური კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები, ნაცვლად 5 დეკემბრისა, რასაც ვალდებულება ითვალისწინებდა, 30 ნოემბრისათვის შეასრულა მინერალური წყალის ჩამოსხმის წლიური გეგმა.

წლიური გეგმის გადამეტებით უკვე ჩამოსხმულია ათეული ათასობით ლიტრი სამკურნალო წყალი.

ქარხნის კოლექტივი მიღწეულით არ კმაყოფილდება და იბრძვის ახალ საწარმოო გამარჯვებათა მოპოვებისათვის.

ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკამ წელს აითვისა ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ფეხსაცმლის ახალი ასორტიმენტი. ბევრი რაციონალიზატორული წინადადება შეიტანეს ფაბრიკის სტახანოველებმა. სურათზე: 1. მოწინავე სტახანოველი, ფეხსაცმლის გადამჭიმავი გიორგი ბეჟუაშვილი, რომელიც დავალებას 240 პროცენტით ასრულებს. 2. მეორე საკერავი საამქრო. შემომჭიმავი ვლადიმერ დუდაშვილი, რომელიც სტახანოვური მეთოდებით მუშაობს და ცვლაში ორ ნორმას ასრულებს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ქართული ფოლადის მილები კომუნიზმის დიად მშენებლობებსა და სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკებს

რუსთავი. (საკ. კორ.). არც თუ ისე დიდი ხანია, რაც სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს კოლექტივი მთლიანნაგლინი უნაწიბურო ფოლადის მილების ათვისებას შეუდგა, მაგრამ ახალგაზრდა მგლინავებმა მიაღწიეს იმას, რომ დღეისათვის უკვე რამდენიმე პროფილის მილს უშვებენ.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში დამზადებული ფოლადის მილებით დატვირთული ვაგონები სულ უფრო და უფრო დიდი რაოდენობით იგზავნება ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში. საქართველოდან ფოლადის მილებს იღებენ ჩვენი სამშობლოს გული—მოსკოვი, გმირი ქალაქი — ლენინგრადი, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ბელორუსიის, ყირგიზეთის, უზბეკეთის რესპუბლიკების სამრეწველო ცენტრები, კრასნოდარის მხარის, აღმოსავლეთ ციმბირისა და ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეების სამრეწველო ქალაქები.

ქართული ფოლადის მილები ეგზავნებათ აგრეთვე კომუნიზმის დიად მშენებლობებს. დეკემბრის დასაწყისში ახალგაზრდა ქართველმა მგლინავებმა ვადაზე ადრე შეასრულეს კუიბიშევჰესისა და სტალინგრადის გიგანტურ მშენებლობათა დაკვეთები.

ამას წინათ ამიერკავკასიის მეტალურგიულმა ქარხანამ ფოლადის მილების დაკვეთები მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. ამ საპატიო დაკვეთების მიღებამ მილსაგლინავი საამქროს მთელი კოლექტივის აღფრთოვანება გამოიწვია. ახალგაზრდა მგლინავებმა გადაწყვიტეს ვადამდე და მაღალხარისხოვნად შეასრულონ ეს დაკვეთები და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

დაკვეთების შესასრულებლად წარმატებით მუშაობენ მოწინავე მვალცავები ა. გაგნიძე, ა. ქუთელია, თ. მინდიაშვილი, ი. პრიზოროვი და სხვები.

ახალი სამეურნეო წლის დასაწყისიდან მილსაგლინავ საამქროში შეუდგებიან მთლიანნაგლინი ფოლადის მილების დამზადებას უნგრეთისათვის.

შორაპნელ მგვირთავთა შრომითი მაჩვენებლები

შორაპნელი მტვირთავები თავდადებით შრომობენ იმისათვის, რომ გეგმის გადამეტებით დატვირთონ და გადმოტვირთონ მარგანეცი. გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება ცვლებსა და ბრიგადებს შორის. დატვირთვა-გადმოტვირთვის კანტორამ თერთმეტი თვის საწარმოო დავალება 104,3 პროცენტით გაანაღდა.

მაღალი მაჩვენებლები მოიპოვა ლ. სუქნიძის ცვლამ, რომელმაც დავალების გადამეტებით განაღდებასთან ერთად რამდენიმე საათით შეამცირა ვაგონების მოცდენა. კარგად მუშაობენ აგრეთვე ი. ეჯიბაძე, შ. ქათამაძე, ვ. კვინიკაძე, პ. თითბერიძე, ვ. ეჯიბაძე და სხვები.

ლ. ძლიბაძე.

მეხუთე სტალინური ხუთწლედის მშენებლობებზე

ყოველდღიურად ათეულობით ათასი მშრომელი მოჰყავთ მატარებლებს თბილისში ქვეყნის ყოველი კუთხიდან, მოჰყავთ თბილისიდან. არ გაივლის დიდი დრო, რომ ისინი იხილავენ გაფართოებულ, შეცვლილ და გამშვენიერებულ თბილისის რკინიგზის მთავარ სადგურს, მის დარბაზებს, გასასვლელებს, ქალაქის მხრისაკენ გადაჭიმულ ვრცელ, კეთილმოწყობილ მოედანს, ირგვლივ მრავალსართულიანი ლამაზი შენობებით დამშვენებულს და ხალხის, საქალაქო ტრანსპორტის შეუნელებელი მოძრაობით გახალისებულს.

— დავამშვენოთ თბილისი საუკეთესო არქიტექტურული გარეგნობის, დიდი გამტარუნარიანობის რკინიგზის სამგზავრო სადგურის ახალი შენობით!

ასეთი ლოზუნგით შეუდგნენ სადგურის შენობის ახალი საფასადო კორპუსების მშენებლობას ის მშენებლები, რომლებსაც ინჟინერი ა. სილაგაძე ხელმძღვანელობს. ეს ახალი მრავალსართულიანი კორპუსები შპილიანი კორპუსის მარჯვენა და მარცხენა ფლიგელებად არიან აღმართულნი და ქმნიან ერთ არქიტექტურულ ანსამბლს, რომელსაც წინ, ქალაქის მხრისაკენ, გარიალებული გრანიტის კოლონადა ამშვენებს. კორპუსთა მშენებლობა ძირითადად უკვე მოთავებულია, მშენებლები გადავიდნენ შენობის შიგნითა მოწყობის სამუშაოთა შესრულებასა და ფასადის მოპირკეთებაზე. ორივე კორპუსს მაღლა ქონგურად უკეთებენ ეკლარის თეთრი ქვის პარაპეტს, რომელზეც ამოკვეთილია კლასიკური ქართული ორნამენტები. ქვაზე ჩუქურთმების ამოკვეთაში განსაკუთრებით ისახელა თავი ქვისმთლელი ოსტატის ნ. პანკინის ბრიგადამ, რომელმაც მინდობილი სამუშაოები ზედმიწევნით სიფაქიზით და მაღალხარისხოვნად შეასრულა.

შენობის მოპირკეთების სამუშაოთა შესრულებაში თავი გამოიჩინეს აგრეთვე კომკავშირელმა მლესავებმა გ. ქავთარაძემ, შ. მაროცაშვილმა და ვ. ხელაშვილმა, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს 110-120 პროცენტით ანაღდებენ.

მშენებლებმა იკისრეს სადგურის შენობათა კომპლექსის ამ ორი ახალი კორპუსის მშენებლობა დაამთავრონ რამდენიმე თვეში, რათა მომავალი გაზაფხულიდან შეუდგნენ მგზავრთა მოსაცდელი დარბაზების გაფართოებას, სადგურის ძველ შენობათა რეკონსტრუქციას. ამის შემდეგ გათვალისწინებულია კვლავ ორი ახალი კორპუსის მშენებლობის დაწყება და სადგურის მოედნის კეთილმოწყობა.

სადგურის მოედანი თბილისის ერთ-ერთი დიდი და მშვენიერი მოედანი იქნება. გაფართოების შემდეგ ძველ შენობათა აღების შედეგად მას საგრძნობი ტერიტორია შეემატება. ამასთან დაკავშირებით საჭირო ხდება მოედნის გავაკება, მისი ზედაპირის მოსწორება და ტრამვაის ლიანდაგების გადაადგილება, რათა საქალაქო ტრანსპორტის ნაკადებმა შეუფერხებლად იმოძრაონ მოედნიდან ქალაქისაკენ ყველა მაგისტრალით.

თბილისის რკინიგზის მთავარი სადგურის რეკონსტრუქცია

○

მშენებლობის დამთავრების შემდეგ თბილისის რკინიგზის მთავარი სადგური ერთ-ერთი საუკეთესო იქნება მთელ ამიერკავკასიის რკინიგზაზე. აქ გაიხსნება დიდი და კეთილმოწყობილი სასტუმრო სატრანზიტო მგზავრთათვის, მოეწყობა დედათა და ბავშვთა დაწესებულებები, საყოფაცხოვრებო მომსახურების პუნქტები და შეიქმნება ყველა პირობა იმისათვის, რომ მატარებლის ლოდინში მგზავრმა დაისვენოს, კულტურულად გაერთოს.

ლამაზი სანახავი იქნება თბილისის რკინიგზის სადგურის შენობათა არქიტექტურული ანსამბლი მშენებლობის დამთავრებისა და მოედნის რეკონსტრუქციის შემდეგ. მთელი თავისი სიდიადით წარმოსდგება მაშინ იგი მნახველის წინაშე, უფრო ახოვანი გამოჩნდება სადგურში შესასვლელი კორპუსის თავზე აღმართული მაღალი შპილი ოქროთი მოვარაყებული ხუთქიმიანი ვარსკვლავით.

დ. ამირანიძე.

ზამთარი კახოვკის მშენებლობაზე

ნოვაია კახოვკა, 10 დეკემბერი. (საკდესი). ზამთარმა გაართულა ჰიდრომექანიზატორთა მუშაობის პირობები. მაგრამ ვოლგადონელთა გამოცდილებით გამდიდრებული კახოვკის ჰიდრომექანიზატორები გადაჭარბებით ასრულებენ გრუნტის ამოღებისა და ჩაყრის გეგმას. მაღალნაყოფიერად მუშაობს ამ დღეებში № 21 მიწისმწოვი მანქანის ეკიპაჟი, რომელიც ავსებს რაბის ქვედა მისასვლელის ჯებირის ფუძეს. მაგალითად, დღეღამის განმავლობაში მან გადაამუშავა 7.500 კუბური მეტრი გრუნტი გეგმით გათვალისწინებული 2.900 კუბური მეტრის ნაცვლად.

ტემპის შეუნელებლად შრომობს ასობით ჰიდრომშენებელი. ბევრი მათგანი უკვე იანვრის გეგმის ანგარიშში მუშაობს.

საკავშირო თათბირი მეაბრეშუმეობის საკითხებზე

ლენინგრადი, 9 დეკემბერი. (საკდესი). გაიმართა ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის მეაბრეშუმეობის სესიის პლენუმი და საკავშირო სამეცნიერო თათბირი აბრეშუმის ჭიის დაავადებებთან ბრძოლის შესახებ. პლენუმმა და თათბირმა მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილებანი მთელ რიგ საკითხებზე. მეცნიერებმა განიხილეს მუხის აბრეშუმის ჭიის განვითარების ღონისძიებანი.

თათბირმა მოისმინა სამეცნიერო მოხსენებანი უკრაინის მეაბრეშუმეობის საცდელი სადგურის, თბილისის მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის, მცენარეთა დაცვის საკავშირო ინსტიტუტის და სხვა დაწესებულებათა მუშაობის შესახებ. მოხსენებებში განზოგადებულია კოლმეურნეობებში მეაბრეშუმეობის, საცდელ სადგურებსა და ინსტიტუტებში მეცნიერული მუშაობის გამოცდილება. აღინიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში მუხის აბრეშუმის ჭიის მოშენება გავრცელდა შორს ჩრდილოეთში და მოიცავს სსრ კავშირის შუა ზოლს, ჩუვაშეთის, ბაშკირეთის, მარეთის ავტონომიურ რესპუბლიკებს, ვორონეჟის, კურსკის, ნოვოსიბირსკის ოლქებს და პოლესიეს რაიონებს.

წლითიწლობით დიდდება პარკის მოსავალი.

შემუშავებულია მუხის აბრეშუმის ჭიის არყის ხეზე, ტირიფსა და სხვა ფოთლოვან ხეებზე გამოკვების მეთოდები.

თათბირმა განაზოგადა მუხისა და თუთის აბრეშუმის ჭიის დაავადებასთან ბრძოლის მეთოდები, დასახა 1953 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა.

გულმოდგინედ სწავლობენ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს და ი. ბ. სტალინის გენიალურ ნაშრომს

ქუთაისი. (საკ. კორ.). საქართველოს კ. პ. ქუთაისის საოლქო კომიტეტი მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ღრმად შესწავლისათვის. დაიწყო ლექციების ციკლობრივი კითხვა. პირველი ლექცია — „ი. ბ. სტალინის ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების უმაღლესი ეტაპია“ წაიკითხა საქართველოს კ. პ. ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. რ. წულუკიძემ. ლექციები იკითხება აგრეთვე შემდეგ თემებზე: „ი. ბ. სტალინი ეკონომიკური კანონების ხასიათის შესახებ სოციალიზმის დროს,“ „ი. ბ. სტალინი სოციალიზმისა და თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონების შესახებ“, „ამხანაგი ი. ბ. სტალინი სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის წინასწარი პირობების შესახებ“.

ეწყობა პოლიტეკონომიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისა და დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად გამოყოფილი კონსულტანტების სემინარი. ქალაქებში ფოთსა და ჭიათურაში, აგრეთვე ოლქში შემავალ რაიონებში საოლქო კომიტეტის ლექტორები ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომის შესახებ კითხულობენ ლექციებს, აწყობენ საუბრებს.

ქალაქ ქუთაისის მსხვილ საწარმოდაწესებულებებში ლექტორთა ჯგუფის ძალებით ეწყობა კონსულტაციები ამხანაგ სტალინის ნაშრომის შესასწავლად.

ამას წინათ საქართველოს კ. პ. ქუთაისის საოლქო კომიტეტში შედგა პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების, პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტთა და მსხვილი პარტიული ორგანიზაციების მდივნების საოლქო თათბირი, რომელმაც განიხილა ამხანაგ ი. ბ. სტალინის ნაშრომების „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შესწავლის საკითხი და დასახა სათანადო ღონისძიებანი.

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარაში ამჟამად ლექტორთა ექვსი ჯგუფი მუშაობს, რომლებშიც 100-მდე ლექტორია გაერთიანებული. ისინი სისტემატურად კითხულობენ ლექციებს საბჭოთა კავშირის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. პარტიის XIX ყრილობის წინ და მისი მუშაობის დღეებში მარტო პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ლექტორთა ძალებით მოეწყო 30 ლექცია ყრილობის მასალების მასებისათვის გასაცნობად.

პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების ლექტორებმა ს. ქუთათელაძემ, კ. ბაბილოძემ, პ. პატარაიამ, პ. ციცხვაიამ უკვე მოამზადეს და რამდენიმე ლექცია წაიკითხეს ი. ბ. სტალინის ახალ შესანიშნავ შრომასთან დაკავშირებით: „ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, „ამხანაგი ი. ბ. სტალინი სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პირობებისა და გზების შესახებ“ და სხვ.

ამხანაგ სტალინის შრომისადმი მიძღვნილი ლექციები მოეწყო ქალაქის აგიტატორებისათვის. ლექცია ჩატარდა აგრეთვე ქობულეთის რაიონის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო აქტივისათვის.

ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრამ მოაწყო ი. ბ. სტალინის ახალი შრომისადმი მიძღვნილი საჯაროსხდომა, რომელზეც მოსმენილ იქნა დოცენტ ს. ქუთათელაძის ლექცია.

ამხანაგ სტალინის ნაშრომის — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ისტორიული მნიშვნელობის შესახებ ლექციები წაკითხულ იქნა ბათუმის რამდენიმე მსხვილ საწარმოში, მათ შორის სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი და ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნების მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის.

ტყიბული. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები უდიდესი ინტერესით სწავლობენ XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ ყრილობაზე წარმოთქმულ შთამაგონებელ სიტყვას და მის გენიალურ ნაშრომს „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

ამ დღეებში პარტიის ტყიბულის რაიკომმა მოიწვია პარტორგანიზაციების მდივნების თათბირი, რომელმაც განიხილა ყრილობაზე ამხანაგ სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვისა და ამხ. გ. მალენკოვის საანგარიშო მოხსენების შესწავლის საკითხი. პარტორგანიზაციების მდივნებს განემარტათ, თუ როგორ უნდა მოაწყონ ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების შესწავლა თვითეული მშრომელის მიერ.

რაიკომის ბიბლიოთეკაში რეგულარულად ტარდება კონსულტაციები ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლის საკითხზე. აქვე მოწყობილია ყრილობის მასალების გამოფენა. მოსახლეობაში ეწყობა ლექციების ციკლი ყრილობის გადაწყვეტილებების ღრმად შესწავლის მიზნით. რაიკომის ლექტორები კითხულობენ ლექციებს თემებზე: „ი. ბ. სტალინი სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის გზებისა და პირობების შესახებ“, „მრეწველობის განვითარების ამოცანები მეხუთე ხუთწლედში“, „მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ახალი დიდი ნაბიჯია სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ განვითარების გზაზე“, „სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა ახალ ხუთწლედში“ და სხვ.

ყრილობის მასალების პროპაგანდას კარგად აწყობენ მოლოტოვის სახელობისა და გელათის შახტების პარტიული ორგანიზაციები. ამ შახტებში ყრილობის მასალების შესწავლასთან დაკავშირებით დიდად გაიზარდა მეშახტეთა შრომითი ენთუზიაზმი. ისინი იბრძვიან ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელ წრეში მოეწყო მეცადინეობა თემებზე: „ი. ბ. სტალინის ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ისტორიული მნიშვნელობა“, „ეკონომიკური კანონების ხასიათის საკითხი სოციალიზმის დროს“ და „სასაქონლო წარმოების საკითხი სოციალიზმის დროს“. რაიკომის ბიბლიოთეკის სალექციო დარბაზში აქტივისათვის გაიმართა ლექცია თემაზე: „მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობა სოციალიზმის კანონია“. ლექცია წაიკითხა დოცენტმა გ. ჩხაიძემ.

პარტიის ტყიბულის რაიკომმა პარტიული აქტივისათვის, ინტელიგენციისა და სამრეწველო საწარმოთა მუშაკებისათვის გაითვალისწინა სტალინის გენიალური შრომისადმი მიძღვნილი ლექციებისა და პოლიტიკური მოხსენებების წაკითხვა. ინჟინერ-ტექნიკოსთა ბიბლიოთეკაში მოეწყო ამ შრომისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდა

ახმეტა. (საკ. კორ.). ზემო ალვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ყოველწლიურად ადიდებს ცხვრის სულადობას. კოლმეურნეობას გეგმით 34.000 სული ცხვარი უნდა ჰყავდეს, ფაქტიურად 36.500 სული ჰყავს. მკვეთრად ადიდებენ პროდუქტიულობასაც. მატყლისა და ყველის მიღების წლევანდელი დავალება აქ გადამეტებით შესრულეს.

წელს ზემო ალვანელებმა 290.000 კილოგრამი ხორცი ჩააბარეს სახელმწიფოს, შრომადღეებზე ავანსად 190.000 კილოგრამი ხორცი გაანაწილეს. გამოცდილი მეცხვარის ა. წოტოიძის ოჯახმა ავანსად 1.047 კილოგრამი ხორცი მიიღო, ახმეტის მტს-ის ტრაქტორისტმა ზ. გიგაურმა, რომელიც ახალი მიწების ათვისებაზე მუშაობდა — 1.304 კილოგრამი, მწყემსმა ა. გარსევანიძემ — 950 კილოგრამი, ი. ბასილაშვილმა კი 840 კილოგრამი.

ზემო ალვანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ავანსად 176.000 კილოგრამი ხორცი გაანაწილეს. ა. მიშაძის ოჯახმა 1.600 კილოგრამი ხორცი მიიღო, ფ. თავბერიძის ოჯახმა—1.500 კილოგრამი და ა. შ.

ალვანელი მეცხვარეები ამჟამად სტავროპოლის მხარის საზამთრო საძოვრებზე იმყოფებიან. ისინი ბეჯითად შრომობენ ცხვრის უდანაკლისოდ გამოზამთრებისათვის.

მევენახეთა წარმატება

ლენინგორი. (საკ. კორ). სოფელ იკოთის კოლმეურნეობაში უკანასკნელ ხანს მტკიცედ მოჰკიდეს ხელი მევენახეობას. გამოცდილი მევენახის ა. გიგაურის ხელმძღვანელობით იკოთელებმა წელს კარგად ჩაატარეს ვაზის სამუშაოები და ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 40 ცენტნერის ნაცვლად 55 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. კოლმეურნეობამ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 25 ტონა ყურძენი ჩააბარა.

ამჟამად კოლმეურნეობა ვენახში საზამთრო სამუშაოებს ასრულებს. კოლმეურნენი ბეჯითად მუშაობენ, რომ მომავალ წელს კიდევ უფრო გაადიდონ ყურძნის მოსავლიანობა.

წლიური დავალება შესრულებულია ვადაზე ადრე

ბაკურიანი. (საკ. კორ.). სატყეო მეურნეობამ (დირექტორი ა. გოცირიძე) 28 ნოემბერს გადაჭარბებით შეასრულა მიმდინარე წლის 11 თვის საწარმოო დავალება. მოვლითი ჭრის ხე-ტყის დამზადების გეგმა განაღდებულია 130 პროცენტით, საშეშე მერქნისა—102 პროცენტით, ახალი სანერგის გაშენებისა — 100 პროცენტით, გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე ტყის კულტურების თესლის დამზადების, ძველი და ახალი კულტურების მოვლის, ღობის შეკეთების დავალებები.

არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, მიღწეულია ტყის კულტურების გახარების მაღალი პროცენტი.

საკოლმეურნეო სოფლის მოწინავეთა დემონსტრაცია

აფხაზეთის საოლქო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

სუხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის მშრომელებმა უკანასკნელი წლების განმავლობაში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებაში. ეს მიღწევები ფართოდ არის წარმოდგენილი აფხაზეთის საოლქო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, რომელიც ამ დღეებში ქალაქ სუხუმში გაიხსნა.

საგამოფენო დარბაზში ყურადღებას იპყრობს დიაგრამები საკოლმეურნეო დოვლათის ზრდასა და აყვავებაზე. მაგალითად, 1940 წელს აფხაზეთში 6 მილიონერი კოლმეურნეობა იყო, 1951 წელს კი 114. ომამდელ პერიოდთან შედარებით კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება ერთისამად და მეტად გაიზარდა. აფხაზეთის სოფლის მეურნეობის 250-ზე მეტ მოწინავეს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ასობით ადამიანი დაჯილდოებულია ორდენებით და მედლებით.

საბჭოთა მეურნეობების განყოფილებაში წარმოდგენილია მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის, გრეიპფრუტის სხვადასხვა ჯიშის ხეები და ნაყოფი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლიმონის — „ახალი ქართულის“ და „ქართული ჩაის“ ექსპონატები.

აფხაზეთში ციტრუსოვანთა პლანტაციების ფართობის ზრდამ მარტო ორი წლის განმავლობაში 268 პროცენტს გადააჭარბა. დიდი წარმატებებია მიღწეული მოსავლიანობის გადიდებაშიც. მაგალითად, გულრიფშის რაიონის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში 1951 წელს თვითეულ ხეზე მოკრეფილია 645 ცალი ნაყოფი, ნაცვლად 1949 წელს მიღებული 411 ცალისა.

ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სუხუმის ფილიალს გამოფენაზე ცალკე განყოფილება უკავია. აქ წარმოდგენილი ექსპონატები მეცნიერ მუშაკთა ნაყოფიერ შრომას მოწმობს.

დიაგრამიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ გაიზარდა ჩაის მოსავლიანობა. მაგალითად, გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღების სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელზეც ჯერ კიდევ 1948 წელს ფილიალმა შეფობა აიღო, მაშინ ჩაის მოსავალი 318 ტონას შეადგენდა, 1951 წელს კი მოწინავე აგრონომიული მეცნიერების დასკვნათა გამოყენებით კოლმეურნეებმა მოსავლიანობა 602 ტონამდე აიყვანეს.

კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მევენახეობისა და მებაღეობის განყოფილება, სადაც წარმოდგენილია მრავალნაირი ხილი, რაც უხვად მოჰყავთ აფხაზეთში. ნაჩვენებია სანიმუშოდ მოვლილი ბაღები და ბაღჩები, რომლებიც მილიონობით მანეთ შემოსავალს იძლევიან. აფხაზეთში სწრაფად იზრდება მევენახეობაც. 1951 წელს 1947 წელთან შედარებით ვენახის ფართობი გადიდებულია 68,4 პროცენტით, ხოლო ყურძნის დამზადება ერთიორად.

დიდ და მაღალწაყოფიერ შრომაზე მეტყველებენ სუხუმის საკონსერვო ქარხანა, თამბაქოს ფაბრიკისა და საფერმენტაციო ქარხნის განყოფილებათა მაჩვენებლები.

კარგი მუშაობის შედეგად აფხაზეთში ყოველწლიურად იზრდება თამბაქოს მოსავლიანობა. 1951 წელს 1940 წელთან შედარებით თამბაქოს დამზადების ზრდა 150,3 პროცენტს უდრიდა. ასეთივე წარმატებებია მოპოვებული სიმინდის, ხორბლის, კარტოფილის და სხვათა მოსავლიანობის გადიდების საქმეშიც.

მექანიზაციის განყოფილებაში წარმოდგენილია მძლავრი იარაღ-მანქანები, რომელთა დახმარებით კოლმეურნეები უხვ მოსავალს იღებენ.

მეცხოველეობის განყოფილება ნათლად გვიჩვენებს პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლებისათვის კოლმეურნეთა ნაყოფიერი შრომის შედეგებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ გულრიფშის რაიონის სოფელ ბალაშონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წითელი ველის ჯიშის, გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის შვიცის ჯიშისა და გაგრის რაიონის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის შავ-ჭრელი ძროხები.

მეფრინველეობის განყოფილებაში ძირითადად წარმოდგენილია გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკა, სადაც მრავალი ჯიშის ფრინველი ჰყავთ მოშენებული.

გამოფენაში ოლქის მრავალი მოწინავე კოლმეურნეობა იღებს მონაწილეობას. წარმოდგენილი მასალები გვიჩვენებენ, რომ გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი უძლიერესია საქართველოში. მისმა ფულადმა შემოსავალმა 12 მილიონ მანეთს მიაღწია.

გაგრის რაიონის სოფელ ლესელიძის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ექსპონატები და დიაგრამები გვაცნობენ, რომ სოფლის მეურნეობის ყველა დარგში არტელს თვალსაჩინო წარმატებები აქვს. განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლებია მიღწეული მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. წელს აქ თვითეულ ძროხაზე 2.100 ლიტრი რძე მიიღეს.

გამოფენას ყოველდღიურად დიდძალი ხალხი ათვალიერებს.

ახალი შრომითი მიღწევები

ოჩამჩირე. („კომ“. კორ.). სოციალისტურ შეჯიბრებაში კარგ მაჩვენებლებს მიაღწია ოჩამჩირის საფერმენტაციო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა. ათი თვის გეგმა თამბაქოს ფერმენტაციის დარგში დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული, ნაცვლად 739 ტონისა ფერმენტირებულია 787 ტონა თამბაქო. ამასთან მარტო ერთ თვეში დაზოგილია 1,2 ტონა საწვავი. ქარხანამ წარმატებით იმუშავა ნოემბერშიც.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ნ. სიდორენკო, ი. გოგია, დ. კანბა და სხვ. ისინი დღიურ დავალებას ორმაგად ასრულებენ.

სოფელ ლაბრას ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა თამბაქოს დამზადების გეგმა. მეორე ბრიგადის წევრებმა (ბრიგადირი ა. მელქონიანი) 16,4 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 21 ტონა თამბაქო ჩაბარეს. კოლმეურნე ვ. მანუკიანმა მიჩენილი 0,7 ჰექტარიდან სახელმწიფოს 15 ცენტნერი მაღალხარისხოვანი თამბაქო ჩაბარა.

სამეცნიერო სესია

ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი აწყობს სამეცნიერო სესიას, მიძღვნილს ი. ბ. სტალინის შრომისადმი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

სესიაზე მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებები: დოცენტ ი. უაჭიერისა — ი. ბ. სტალინის შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ისტორიული მნიშვნელობა; დოც. ი. ხირსელისა — ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ როგორც მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის უმაღლესი ეტაპი; მასწავლებელ გ. პაპავასი — ი. ბ. სტალინი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ომების გარდუვალობის შესახებ; მასწავლებელ ს. ხუციაძისა — ი. ბ. სტალინი სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზებისა და პირობების შესახებ; ასისტენტ მ. სესიაშვილისა — ი. ბ. სტალინი ერთიანი მსოფლიო ბაზრის დაშლისა და მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის კრიზისის გაღრმავების შესახებ; მასწავლებელ ნ. შარმიაშვილისა — დიალექტიკური მატერიალიზმის თეორიის განვითარება ი. ბ. სტალინის შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

ძირეული პრესის მუშაკთა რაიონული თათბირი

ყაზბეგის რაიონული გაზეთის „ახალი ხევის“ რედაქციამ მოაწყო გაზეთის კორესპონდენტებისა და ძირეული პრესის მუშაკთა რაიონული თათბირი.

თათბირმა მოისმინა გაზეთ „ახალი ხევის“ რედაქტორის ამხ. ა. კაზალიკაშვილის მოხსენება თემაზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი და ძირეული პრესის ამოცანები“.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 10 კაცმა. („კომუნისტის“ კორ.).

პარტიულ თემაზე

კომუნისტთა თეორიული სწავლება— ახალი ამოცანების დონეზე

ჯ. ბაძრაძე,

საქართველოს კომპარტიის ტყიბულის რაიკომის მდივანი.

ლენინ-სტალინის პარტიის XIX ყრილობამ დასახა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლისათვის ბრძოლის დიადი პროგრამა. მეხუთე სტალინური ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის იდეოლოგიურ მუშაობას.

პარტიის ტყიბულის რაიონული კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები წლობით სუსტად მუშაობდნენ კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების ამაღლებისათვის, სერიოზულ ნაკლოვანებებს ჰქონდა ადგილი პოლიტიკური სწავლების საქმეში. პარტიული განათლების სისტემაში გასული სასწავლო წლის შედეგებმა ცხადყო, რომ ბევრი პარტიული ორგანიზაცია ყურადღებით არ ეკიდებოდა პოლიტიკურ სწავლებას, საჭირო დახმარებასა და მზრუნველობას არ უწევდა პროპაგანდისტთა კადრებს.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა დაივიწყა, რომ პარტიულ სწავლებაში ცენტრალურ ფიგურას პროპაგანდისტი წარმოადგენს. იყო შემთხვევები, როცა პროპაგანდისტებად იგზავნებოდნენ არასაკმაოდ მომზადებული და ამ დიდი საქმით დაუინტერესებელი ამხანაგები. მაგალითად, შარშან პროპაგანდისტმა ამხ. ლდოკოვმა ჩაშალა წრის მუშაობა ლენინის სახელობის შახტში. ასევე ცუდად მუშაობდა პროპაგანდისტი ამხ. იაცკევიჩი. პროპაგანდისტთა კადრების არასწორად შერჩევამ ის გამოიწვია, რომ მსმენელთა საგრძნობი ნაწილი სუსტად მეცადინეობდა, ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ცალკეული დებულებებისა და თარიღების დაზეპირებით კმაყოფილდებოდა. ამის გამო გასული სასწავლო წლის დამთავრებისას იმავე წრეებსა და პოლიტსკოლებში დატოვებულ იქნა 92 ამხანაგი, ხოლო 186-ს საშემოდგომო დავალება მიეცა. ამას გარდა სასწავლო პროგრამის შეუსრულებლობის გამო გამოშვებულ არ იქნა 6 წრე.

ეს ნაკლოვანებანი იმითაც აიხსნება, რომ წრეებისა და პოლიტსკოლების დაკომპლექტებისას მხედველობაში არ იყო მიღებული მსმენელთა საერთო განათლების დონე და მათი სურვილი. მაგალითად, ლენინის სახელობის შახტში პარტიის ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრე (პროპაგანდისტი ამხ. გ. რაზმაძე) არასწორად იყო დაკომპლექტებული. წრეში გააერთიანეს ზოგიერთი დაბალი განათლების მქონე ამხანაგი, რამაც მუშაობა გაუძნელა როგორც პროპაგანდისტს, ისე დანარჩენ მსმენელებს. ასეთი ფაქტები სხვა პარტიულ ორგანიზაციებშიც იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ შარშან პარტიული განათლების სისტემაში საკმაო რაოდენობით არ იყვნენ ჩაბმული უპარტიო აქტივისტები. პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობდნენ ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეს. ინჟინერების, მასწავლებლების, ექიმების დიდი ნაწილი ჩაბმული არ იყო პოლიტიკურ სწავლებაში.

ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ტყიბულის პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს.

ტყიბულის შახტების, ახალმშენებლობათა, კოლმეურნეობებისა და დაწესებულებების მშრომელთა შორის ასზე მეტი პროპაგანდისტი ეწევა მუშაობას, აიარაღებს ჩვენს პარტიულ და საბჭოთა კადრებს მარქსისტულ-ლენინური თეორიით. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროპაგანდისტების ამხ. ა. გოლოძის, კ. ბრეგაძის, ტ. კუპრავას, დ. ობოლაძის და სხვათა ნაყოფიერი მუშაობა. ისინი წრეებს დიდი მონდომებითა და მთელი სერიოზულობით ხელმძღვანელობენ.

ახალ სასწავლო წელს მუშაობას შეუდგა ასამდე პოლიტსკოლა და წრე, რომლებშიც 2.200-ზე მეტი კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი სწავლობს. ამას გარდა შექმნილია საღამოს პარტიული სკოლა 95 მსმენელით, პოლიტიკური ეკონომიისა და ფილოსოფიის შემსწავლელი წრეები, აგრეთვე ორი სემინარი რაიონის აქტივისათვის. საჭიროა აღინიშნოს, რომ წრეებისა და პოლიტსკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი გასული წლის ნაკლოვანებები. როგორც ჩატარებულ მეცადინეობათა პირველი შედეგები გვიჩვენებს, პარტიული ორგანიზაციები ხშირად უყურადღებოდ ტოვებენ კომკავშირული განათლების საქმეს. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, სტალინის სახელობის შახტში. ამ შახტის კომკავშირულ ორგანიზაციასთან არსებულ მთელ რიგ წრეებში ცუდია მსმენელთა დასწრება, დაბალ იდეურ-თეორიულ დონეზე ტარდება მეცადინეობა. პარტიული ორგანიზაცია კი ჯეროვან ზომებს არ იღებს კომკავშირული განათლების ქსელში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

რაიონის პარტიული და სამეურნეო კადრების დიდი ნაწილი დამოუკიდებლად მუშაობს თავისი თეორიული დონის ასამაღლებლად, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესათვისებლად. თვითგანათლებაზე მომუშავე ამხანაგების დასახმარებლად სისტემატურად ეწყობა ლექციები, მოხსენებები და კონსულტაციები. წაკითხულ იქნა ლექციები ლენინის და სტალინის ისეთ ნაშრომებზე, როგორიც არის: „რა ვაკეთოთ?“, „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი“, „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“. რაიონულმა კომიტეტმა მოამზადა ლექციების ციკლი აგრეთვე ამხანაგ სტალინის კლასიკური ნაწარმოების — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მიხედვით.

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს შორის ბეჯითი მუშაობით და მაღალი თეორიული მომზადებით განსაკუთრებით გამოირჩევიან ლენინის სახელობის შახტის უფროსი ამხ. ბ. ვაჭარაძე, განათლების განყოფილების გამგე ამხ. დ. მარუაშვილი, ექიმი ამხ. თ. კალმახელიძე და სხვები. მაგრამ პოლიტიკური თვითგანათლების საქმეში კვლავ ბევრი ნაკლია. პარტიული და საბჭოთა კადრების ერთი ნაწილი მთელი სერიოზულობით არ ეკიდება თავისი პოლიტიკური და თეორიული ცოდნის სისტემატური ამაღლების საქმეს, მთელი მონდომებით არ ეუფლება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს. სამწუხაროდ, დღემდე არიან ისეთი კომუნისტები, რომლებიც ხანგრძლივი დროის—5-6 წლის განმავლობაში ერთსა და იმავეს „სწავლობენ“. ეს იმიტომ ხდება, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები ცუდად მუშაობენ ამ ამხანაგებთან, არ ამაღლებენ მათს პასუხისმგებლობას პოლიტიკური სწავლებისათვის. პარტიული ორგანიზაციის ზოგიერთი მდივანი არათუ სხვებს ეხმარება, არამედ თვითონაც შეუუწყარებელ უდარდელობას იჩენს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისადმი. ასეთია, მაგალითად, ზედუბნის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. მ. ამოთია, რომელიც ნაკლებად ზრუნავს თავისი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის.

ხშირია შემთხვევა, როცა კომუნისტები, მათ შორის პასუხისმგებელი ამხანაგებიც, ყოველწლიურად პარტიის ისტორიის სახელმძღვანელოს ერთსა და იმავე თავს „სწავლობენ“. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ასეთი ამხანაგები ვერ უძღვებიან მინდობილ საქმეს, ვერ იძლევიან მაგალითს მუშაობაში, ვერ ეუფლებიან თავიანთი საქმის ტექნიკას. ტყიბულქვანახშირის ტრესტის მედუანნაწილის პოლიკლინიკის ექიმმა ამხ. ნ. ხავთასმა თავი მიანება მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლას; იგი გაზეთსაც კი არ კითხულობს. გასაკვირველი არ არის, რომ ნ. ხავთასი, როგორც ექიმი, საგრძნობლად ჩამორჩება სხვა სპეციალისტებს. ამავე პოლიკლინიკაში არიან სხვა ექიმებიც, რომლებიც გულახდილად აცხადებენ, რომ რამდენიმე წელია წიგნი არ აუღიათ ხელში. ეს ფაქტები იმას მოწმობს, რომ პოლიკლინიკის პირველადი პარტიული ორგანიზაცია ყურადღებას არ აქცევს იდეოლოგიურ მუშაობას, ხოლო პარტიის რაიონული კომიტეტი და მისი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება გულდამშვიდებით შესცქერიან ასეთ უმსგავსო მდგომარეობას.

სწავლაში ჩამორჩენილი ამხანაგების შესახებ არა ერთხელ ითქვა პარტიულ კონფერენციებზე, აქტივისა და პირველადი ორგანიზაციების კრებებზე, მაგრამ აუცილებელი პარტიული ღონისძიებანი დღემდე არ ყოფილა განხორციელებული. ამიტომ ისე ხდება, რომ ეს ამხანაგები ყურს „აჩვეკენ“ კრიტიკას, გვპირდებიან საქმის გამოსწორებას, ხოლო სინამდვილეში არაფერს არ აკეთებენ.

ეს არანორმალური მდგომარეობა იმით არის გამოწვეული, რომ რაიონული კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები საქმიანად არ ეხმარებიან, კონკრეტულ ხელმძღვანელობასა და კონტროლს არ უწევენ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი კონსულტანტი კეთილსინდისიერად არ ასრულებს დაკისრებულ საქმეს. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ბევრ ამხანაგს არასწორად აქვს შედგენილი ინდივიდუალური გეგმები. ტყიბულშახტმშენის ტრესტისა და სხვა სამშენებლო ორგანიზაციათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები იშვიათად ამოწმებენ კონსულტანტების მუშაობას, ყურადღებას არ აქცევენ იმას, თუ როგორ ადგენენ და ასრულებენ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგები თავიანთ ინდივიდუალურ სამუშაო გეგმებს.

ტყიბულის რაიონის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთი მუშაობის გარდაქმნას ახორციელებენ პარტიის XIX ყრილობის სტალინურ გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ასწორებენ პოლიტიკური განათლების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს. ამჟამად ჩვენი ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა ისე მოვაწყოთ კომუნისტების, კომკავშირელებისა და უპარტიო აქტივისტების სწავლება, რომ ისინი სისტემატურად, ყოველდღიურად იმაღლებდნენ იდეურ-თეორიულ დონეს, იძენდნენ პოლიტიკურ ცოდნას, რათა წარმატებით იბრძოდნენ დიდი სტალინის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის.

ყოველდღიურად ვიზრუნოთ მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის

პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებმა და ამ ყრილობაზე დიდი სტალინის შთამაგონებელმა ისტორიულმა სიტყვამ უმაგალითო შრომითი აღმავლობა გამოიწვია სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში. საწარმოს კოლექტივმა წარმატებით შეასრულა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები და ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება მეხუთე ხუთწლედის ნეორე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

წელს ქარხანაში გარკვეული მუშაობა გასწიეს მუშათა საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებისა და ახალგაზრდა მუშების ტექნიკური სწავლებისათვის. შექმნილია სტახანოვური სკოლები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი და ტექნიკური დაოსტატების წრეები, რომლებშიც გაერთიანებულია რამდენიმე ასეული მუშა.

წარმოების ცნობილმა სტახანოველებმა განვლილ 10 თვეში ინდივიდუალური წესით შეასწავლეს ხელობა 94 ახალგაზრდა მუშას. ამავე პერიოდში 23 მუშამ მეორე პროფესია შეისწავლა, ხოლო 76 მუშამ კვალიფიკაცია აიმაღლა. ტექმინიმუმის წრეები დაამთავრა 151 კაცმა. სტახანოვურ სკოლებში შრომის მოწინავე მეთოდებს დაეუფლა 126 მუშა, ტექნიკური დაოსტატების წრეები დაამთავრა 67 ოსტატმა, ტექნიკური კონტროლის ინსპექტორმა და კონტროლიორმა. წრეები კვლავ განაგრძობენ მეცადინეობას და წლის ბოლომდე კვალიფიკაციას დამატებით 40 კაცი აიმაღლებს.

მუშების კვალიფიკაციის ამაღლებამ მნიშვნელოვნად გაზარდა შრომის ნაყოფიერება. ის მუშები, რომლებმაც დაამთავრეს ტექმინიმუმის წრეები და სტახანოვური სკოლები, ამჟამად ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდა მუშების ე. ნადირაძისა და ბ. ზურაბიშვილის წარმატება. ისინი გამომუშავების ნორმებს 250-300 პროცენტით ანაღდებენ. საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ ასევე მაღალნაყოფიერად მუშაობენ შ. გაბარაშვილი, ნ. ივაშკო, ი. პროკოპენკო, გ. გოგიაშვილი, ე. გათიკაევი, გ. ჯისიევი, ი. სიმონიშვილი, მ. მინასაშვილი, ვ. სემინიშიანი და სხვები.

მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ქარხნის ტექნიკურ კაბინეტს. წარმოებასთან პრაქტიკულად დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებზე ლექცია-საუბრების მოწყობით, წარმოების ნოვატორებთან, ცნობილ სტახანოველებთან, ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსებთან მუშების შეხვედრის ორგანიზაციით, რაც მოწინავეთა გამოცდილების ურთიერთგაზიარების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, ტექნიკურ კაბინეტს მუშებისათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლია. ამ მიმართულებით კაბინეტი გარკვეულ მუშაობას ეწევა. მაგალითად, მუშებმა ტექნიკურ კაბინეტში წელს 181-ჯერ ნახეს ტექნიკური ფილმები, 19-ჯერ მოისმინეს ტექნიკური ხასიათის ლექცია. ლექციები წაიკითხეს ქარხნის ინჟინრებმა ბ. ჩლაიძემ, ს. ტერ-ოგანესიანმა, ნ. კაცმა და სხვებმა. ამას გარდა ტექნიკურ კაბინეტში ამა თუ იმ აქტუალურ საკითხებზე მოეწყო კონფერენციები, წარმოების მოწინავე ადამიანებისა და მეცნიერ მუშაკების შეკრებები.

მაგრამ მიუხედავად ამ მუშაობისა, ტექნიკურ კაბინეტს თვალსაჩინო ნაკლი აქვს. იგი სუსტად იბრძვის წარმოებაში შრომის მოწინავე მეთოდების მასობრივად დანერგვისათვის. კაბინეტი სისტემატურად როდი აწყობს ცნობილი ნოვატორების—მჭედელ კ. ილურიძის, ჩქაროსანი ხარატის ი. ჭუმბურიძის და სხვების შეხვედრებს ახალგაზრდა მუშებთან. ქარხნის საქვაბე და სამგზავრო-სავაგონო საამქროებში არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი ახალგაზრდა მუშების ტექნიკური სწავლება. ამ საამქროთა ადმინისტრაციას კადრების მომზადების გეგმა არა აქვს. ამას გარდა ახალგაზრდა მუშები სათანადოდ არ მარაგდებიან ხელსაწყოიარაღებით, მათი სამუშაო ადგილიც მოუწყობელია. ტექმინიმუმის ის წრე, რომელიც შექმნილია სამგზავრო-სავაგონო საამქროში, ფორმალურად არსებობს. ახალგაზრდა მუშები, რომლებმაც ეს წრე დაამთავრეს, გამომუშავების სავალდებულო ნორმებსაც კი ვერ ასრულებენ.

ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ წელს პარტიული კომიტეტის სხდომაზე ორჯერ განიხილა მუშათა ტექნიკური სწავლების საკითხი. თანაც ერთხელ საკითხი მომზადებული არ იყო და გადაიდო. საქარხნო პროფსიუღმა ორგანიზაციამ, რომელიც უშუალოდ უნდა იყოს დაინტერესებული ამ საქმით, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი წელს მხოლოდ ერთხელ — 8 აპრილს განიხილა და ზერელე დადგენილება მიიღო. ამის შემდეგ იგი აღარც კი დაინტერესებულა დადგენილების შესრულების შემოწმებით.

კომუნიზმის მშენებელი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობა და კერძოდ მრეწველობა აღჭურვილია უახლესი საბჭოთა ტექნიკით. ტექნიკური აღჭურვილობის ზრდასთან ერთად იზრდებიან მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ახალგაზრდა კადრები. ამ ახალგაზრდა კადრების შემდგომი აღზრდა, მათ მიერ ახალი ტექნიკის საფუძვლიანი დაუფლება ქარხნის სამეურნეო, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა. ეს არ უნდა დაივიწყონ თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში.

ლ. სარჯველაძე.

ქალაქი სუხუმი. რუსთაველის სახელობის სკვერის ერთი კუთხე.

ფოტო ვ. ვახტანგაძისა.

მრავალნლიანი ბაღახების გაუმჯობესებული ჯიშები

ჯავა. (საკ. კორ.). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამთო-სამდელო სადგურმა, რომელიც პროფესორ ე. ბუშის ხელმძღვანელობით საინტერესო მუშაობას ეწევა მაღალმთიან სოფელ ერმანში (ზღვის დონიდან 2.250—2.300 მ.), თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა მრავალწლიანი ბალახების გაუმჯობესებული ჯიშების გამოყვანის საქმეში. გამოყვანილია „ჯაღარა სამყურა“, „ტიმოთეურა“ და სხვა მრავალწლიანი უხვმოსავლიანი ბალახები.

სადგურმა განსაკუთრებით კარგი შედეგები მოიპოვა მრავალწლიანი ბალახის — ეგრეთწოდებული „იისფერი ჭერის“ მოსავლიანობის გადიდების საქმეში. სადგურის მიერ დათესილმა ამ ბალახმა მეექვსე წელიწადს თვითეულ ჰექტარზე 55,2 ცენტნერი მოსავალი მოგვცა, ხოლო ჩვეულებრივ, ბუნებრივ პირობებში იგივე ბალახი ჰექტარზე მხოლოდ 10-12 ცენტნერ მოსავალს იძლევა.

სადგურის მიერ გამოყვანილი მრავალწლიანი ბალახების გაუმჯობესებული ჯიშების დანერგვა საკოლმეურნეო წარმოებაში დიდ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეს.

ქაკლის ხეივანი ხაშურში

ხაშური. (საკ. კორ.). ხაშურის სატყეო მეურნეობა ქალაქ ხაშურიდან სოფელ ტაშისკარამდე მთავარი საავტომობილო გზის გაყოლებით რგავს 3-4-წლიან ქაკლის ნერგებს სამ მწკრივად. უკვე დარგულია 2.800 ძირი ნერგი. სულ დარგული იქნება 5.000 ძირი.

ქაკლის დარგვის საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები, მასწავლებლები, რკინიგზის კვანძისა და სხვა საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები.

სანატორიუმი მეშახტეებისათვის

წყალტუბო. (საკ. კორ.). საექსპლოატაციოდ გადაეცა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს სანატორიუმი, რომელიც რესპუბლიკის ერთ-ერთი ლამაზი და კეთილმოწყობილი სამკურნალო დაწესებულებაა.

სანატორიუმი აგებულია არქიტექტორების გ. ხიმშიაშვილის და ს. ლენტოვსკის პროექტით. შენობა ოთხსართულიანია და მას აქვს 250 საწოლი, 300 ოთახი, ხელოვნური მარმარილოთი მოპირკეთებული სვეტებიანი დიდი სასადილო, სამკითხველო, საკონცერტო დარბაზი, ჰიგიენური საბაზანოები, ყველა სახის სამკურნალო კაბინეტები. სანატორიუმს აქვს ცენტრალური გათბობა, 2 ლიფტი, რადიო, საბილიარდო. სანატორიუმთან აგებულია რამდენიმე საცხოვრებელი სახლი მედიცინის მუშაკებისა და მომსახურე პერსონალისათვის, აგრეთვე დამხმარე ნაგებობანი.

ახალი სანატორიუმის ფასადს ამშვენებს ქართული სტილის ჩუქურთმიანი აივნები, ორმხრივი ორგანალური კიბე და დიდი აუზი შადრევნით.

სანატორიუმმა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს, უკვე მიიღო პირველი დამკვენებლები. აქ სამკურნალოდ ჩამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის სახელოვანი მეშახტეები, ქვანახშირის მრეწველობის ნოვატორები.

მ. ასათიანის სახელობის ინსტიტუტში

ნაყოფიერ მეცნიერულ და კლინიკურ მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი (დირექტორი სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ა. ზურაბაშვილი).

უკანასკნელი წლების განმავლობაში ინსტიტუტის მუშაკებმა დაიცვეს 3 სადოქტორო და 8 საკანდიდატო დისერტაცია. პროფესორებმა ი. მენთეშაშვილმა და ე. გობრონიძემ თავიანთი ცნობილი სადოქტორო შრომებით („ცერებროსპინალური სითხის ზოგიერთი თავისებურება შიზოფრენიის დროს“ და „შიზოფრენიის ინსულინოთერაპია“), რომლებიც ცალკე მონოგრაფიებად გამოიცა, საგრძნობი წვლილი შეიტანეს ფსიქონევროლოგიურ მეცნიერებაში.

პროფ. ა. ზურაბაშვილის შრომამ „ადამიანის თავის ტვინის ქერქის ნატიფი აღნაგობის შესახებ“ (სინაპსები), რომელიც მოსკოვში გამოსცა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიამ, დიდი გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო საბჭოთა, არამედ უცხოთის პროგრესულ მეცნიერთა შორისაც.

ინსტიტუტის მეცნიერულ ძალებს მომავალი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის აღაფრთოვანებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის 1950 წლის გაერთიანებული სესიის შედეგები. ქართველ მეცნიერებს პავლოვის მოძღვრების მომარჯვებით ახალი საგანძური შეაქვთ ფსიქო-ნევროლოგიის თეორიულ დარგში და ფსიქიკურ-ნერვულ დაავადებათა მკურნალობაში.

ინსტიტუტის მიერ ა. ზურაბაშვილის რედაქტორობით გამოცემული „შრომებას“ სამ ტომში დაბეჭდილია 60-მდე თვალსაჩინო მეცნიერული გამოკვლევა და მონოგრაფია. ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერმა მუშაკებმა ჩვენს რესპუბლიკაში წაიკითხეს 60-ზე მეტი მეცნიერულ-პოპულარული ლექცია. გამოცემული რამდენიმე ასეთივე ბროშურა. ამჟამად ინსტიტუტში მუშავდება 3 სადოქტორო და 4 საკანდიდატო დისერტაცია.

ინსტიტუტში მუშაობენ და იზრდებიან ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერული კადრები. მათ შორის აღსანიშნავი არიან ი. ყუბანეიშვილი, ვ. იაშვილი, ბ. ნანეიშვილი, ა. ნაკაშიძე, ვ. ჯიშელეიშვილი და სხვ., რომლებიც ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწევიან.

იზრდება „ძაუს“ მინერალური წყაროს გამოშვება

სულ უფრო პოპულარული ხდება მინერალური წყალი „ძაუ“. მიმდინარე წელს „ძაუს“ მინერალური წყლების ჩამომსხმელ ქარხანას მიცემული ჰქონდა გადიდებული დავალება.

ქარხნის კოლექტივმა სეზონის განმავლობაში, რომელიც ნოემბერში დამთავრდა, 550 ათასი ლიტრის ნაცვლად გამოუშვა 551.500 ლიტრი მინერალური წყალი „ძაუ“ და 136 ათასი მანეთი დაზოგა.

დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს საწარმოს მოწინავე ადამიანებმა ე. კოზაევამ, ზ. კოჩიევამ, ლ. კოჩიევამ, ვ. სანაკოევამ, ზ. ცხოვრებოვამ და სხვ.

უახლოეს წლებში ქარხანა მნიშვნელოვნად გაადიდებს პროდუქციის გამოშვებას.

კულინარიის წრე სოფლად

სტალინირი. (საკ. კორ.). კოლმეურნე ქალების მოთხოვნით ქურთის სასოფლო საბჭოს სამკითხველოსთან (ვამბე დ. ბასიშვილი) ჩამოყალიბდა კულინარიის წრე, რომლის ხელმძღვანელობა დაეკისრა ამ საქმის კარგად მცოდნე კოლმეურნეს თამარ მაჩაბელს.

წრის მუშაობაში ბევრი კოლმეურნე ქალი ჩაება. სამი თვის განმავლობაში მსმენელები მონდომებით ეუფლებოდნენ კულინარიას. წრის გამოშვების დროს კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს მაყვალა მისურაძემ, ქეთევან ელბაქიძემ, ანა კალაშვილმა, მარგალიტა მელანაშვილმა და სხვ.

ახლა წრე ყალიბდება ახალი შემადგენლობით, მასში გაცილებით მეტი მსმენელი შედის.

წერილები რედაქციაში

მეჯი ყურადღება დოკუმენტალური მასალების დაცვის საქმეს

საბჭოთა დაწესებულებების მუშაობის პროცესში წარმოქმნილი და დაგროვებული დოკუმენტალური მასალები მოგვითხრობენ ჩვენი დიადი სტალინური ეპოქის, სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის პერიოდის დღეების შესახებ. ამ მასალების შენახვასა და დაცვას უაღრესად დიდი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ არის, რომ პარტია და მთავრობა განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან საარქივო მასალების, ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტის შენახვას.

ასეთი მასალების დაცვას სხვა მხრივაც აქვს მნიშვნელობა. მაგალითად, რესპუბლიკის პროკურატურამ წელს საქალაქო არქივში დაცული მრავალი ათასი საქმე გამოიყენა და ამის შედეგად გამომძღვანა გამფლანგველები და სახალხო ქონების დამტაცებლები. გარდა ამისა, საარქივო მასალებით ფართოდ სარგებლობენ მშრომელებიც. მიმდინარე წლის 10 თვეში მარტო თბილისის საქალაქო არქივმა დააკმაყოფილა 2.000-ზე მეტი მშრომელის განცხადება მათი შრომის სტაჟის, განათლების ცენზის, პირად მფლობელობაში არსებული ქონების და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ ცნობების გაცემით.

საქალაქო არქივში მუშაობენ აგრეთვე მეცნიერი მკვლევარები, რომლებიც ამუშავებენ მთელ რიგ სადღეისო მნიშვნელობის თემებს რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციის, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების, ხალხთა სტალინური მეგობრობის, დიდ სამამულო ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის და სხვა საკითხებზე. აქვე დაცულ მასალებს (ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებები, პროექტები, ნახაზები, გეგმები, ხარჯთაღრიცხვები) ფართოდ იყენებენ მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციებიც.

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტალური მასალების მოვლა-პატრონობა და შენახვა-დაცვა დიდმნიშვნელოვანი საქმეა, სამწუხაროდ, გვხვდებიან ისეთი ორგანიზაციები, სადაც ამ საქმის შეუფასებლობას იჩენენ.

თბილისის საქალაქო საბჭომ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის აპრილში განათლების განყოფილების გამგეს ამხ. მჭედლიძეს და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგეს ამხ. ზაქარიაძეს დააკისრა მათს ორგანიზაციებში დოკუმენტალურ მასალათა დაცვისა და დამუშავების უზრუნველყოფა. არც ერთს და არც მეორეს ეს დავალება არ შეუსრულებია. განათლების განყოფილების ხაზით არის დოკუმენტების დაკარგვის შემთხვევები, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხაზით — არქივარიუსების სხვა სამუშაოზე გამოყენების პრაქტიკა და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ისეთ ორგანიზაციებში, როგორიც არიან თბილისის სასადილოების პირველი ტრესტი (დირექტორი ამხ. შაორშაძე), კიროვის, 26 კომისრის რაიონების საბინაო სამმართველოები, თბილისის რაიონების საფინანსო დაწესებულებები, საარქივო მასალების დამუშავება წლობით ჭიანურდება. შეუწყნარებელი მდგომარეობაა ამ მხრივ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ ზოგ დაწესებულებასა და ორგანიზაციაშიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძლიერ შეფერხებულია ლიკვიდირებული ორგანიზაციების. უმთავრესად არტელების დოკუმენტალურ მასალათა შეგროვება-დაცვა.

საჭიროა ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის მოგვარებაში არქივის მუშაკებს დაეხმარონ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

ბ. ჯინჭარაძე,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის საქალაქო არქივის დირექტორი.

რა უშლის ხელს მეცხოველეებს

ჩვენი კოლმეურნეობის წევრები, რომლებიც ძირითადად მეცხვარეობასა და მეძროხეობას მისდევენ, წარმატებით შრომობენ ახალი ხუთწლიანი გეგმით მათ წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად. წარმატებები გაცილებით მეტი იქნებოდა, მუშაობაში ხელშემშლელი პირობები რომ არა გვქონდეს.

როგორც ცნობილია, თბილისის ოლქის რაიონები ცხვარს ყიზლარის საძოვრებზე აზამთრებენ. შვიდასი კილომეტრი სიგრძის ტრასა, რომლითაც ყოველწლიურად ცხვარი ორჯერ მგზავრობს, დამტკიცებულია 1939 წელს. განვლილ პერიოდში ცხვრის სულადობა რამდენჯერმე გაიზარდა და ბუნებრივია, რომ ტრასა ჩვენს მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებს. ამის გამო მგზავრობის დროს საშუალება არ გვაქვს თავის დროზე მოვაძოვოთ და ვარწყულოთ ცხვარი.

ჩვენს პრესაში არაერთხელ დაწერილა საზამთრო საძოვრებზე მეცხვარეთა ცხოვრებისა და შრომის ნორმალური პირობების შექმნის საჭიროების შესახებ. სამწუხაროდ, ამ საქმეს კვლავ სერიოზული ყურადღება არ ექცევა. მაღაზიებში იშვიათად ნახავთ ნაბდებს, ჩექმებს, დაბამბულ ტანსაცმელს. სამაგიეროდ ცეკავშირს ჩრდილოეთ კავკასიაში შემოაქვს ისეთი საქონელი, რაც მწყემსებს არ სჭირდებათ.

ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე წელს ბინების მშენებლობა შეფერხდა. — ეს გამოწვეულია იმით, რომ ცეკავშირმა საშენი მასალა მცირე რაოდენობით შემოზიდა.

უფრო ცუდად დგას ფერმების მომარაგება რაიონში. უკვე მესამე წელიწადია, რაც სამომხმარებლო კოოპერაციას ქვამარილი არა აქვს, ამიტომ კოლმეურნეობებს მარილის შემოზიდვა სხვა რაიონებიდან უხდებათ. ეს იწვევს ზედმეტ ხარჯებს. კოოპერაცია ვალდებულია შემოზიდოს ქატო, კოპტონი და სხვა კონცენტრირებული საკვები. კოოპერაცია ამ საქონლით სათანადოდ ვერ ამარაგებს კოლმეურნეობებს.

ეს ნაკლოვანებანი სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. ამას მოითხოვს იმ ამოცანის შესრულების ინტერესები, რომელიც მეცხოველეთა წინაშე ახალი ხუთწლიანი გეგმით არის დასახული.

ა. ქავთარაძე,

დუშეთის რაიონის სოფელ მაჭართის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ფელეტონი

ჩვენი ნაცნობი ედუარდი...

ადამიანს, რომელიც ქართველი კაცისათვის ასეთ უცნაურ სახელს ატარებს, საკმაოდ იცნობენ საქართველოს ბევრ ქალაქსა და რაიონში: თბილისში, ასპინძაში, ახალციხეში, დუშეთში, ყაზბეგში... ზოგი ჩვენი მკითხველი მყისვე მიხვდება — ეგ, ხომ ედუარდ შუმაბერიძეაო. დიახ, ის გახლავთ. კაცი მეტისმეტად „თავაზიანი“ და „თავმდაბალი“, სხვა თვისებები რომ არ ჩამოვთვალოთ.

ბევრს ეხამუშება ყურისათვის შეუჩვეველი სახელის წარმოთქმა. ამ შემთხვევაში ჩვენი გმირი წინააღმდეგი არ არის უწოდონ მას „პატივცემული ვეჭილი“.

ინტელიგენტური ჩაცმულობა „პატივცემულს“ სრულიადაც არ უშლის ხელს მიიღოს იმ ცნობილი სითხის დიდი დოზები, რომელიც ხშირად მუნჯს აალაპარაკებს ან, პირიქით, ორატორსაც კი დაამუნჯებს. მაგრამ ახლა ამაზე როდი გვექნება საუბარი.

საქმე ეხება იმას, თუ როგორ „ასრულებს“ ედუარდი თავის პროფესიულ მოვალეობას. ამისათვის დავიწყებთ სასამართლო პროცესიდან. ეს პროცესი ამას წინათ შედგა ყაზბეგის რაიონში. იმ დღეს სახალხო სასამართლოს შენობაში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. აქ იყვნენ თეთრწვერა მოხუცები, ისინი, ვისაც მთელი თავისი სიცოცხლე მწყემსობაში გაეტარებია, იყვნენ ახალგაზრდები და, თქვენ წარმოიდგინეთ, მოზარდებიც. გასართობად და სეირის საყურებლად როდი იყვნენ მოსულნი კოლმეურნეები. საქმე, რასაც საოლქო სასამართლოს გამცვლელი სესია არჩევდა, აინტერესებდა ყველა კოლმეურნეს — დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს.

კოლმეურნეობის ყოფილმა თავმჯდომარემ უღალატა თანასოფლელებს, ჩაიდინა ეფირსი საქციელი და ახლა საქვეყნოდ შერცხვენილი იჯდა საბრალდებო სკამზე. ეტყობოდა განიცდიდა თავის მდგომარეობას, შუბლზე მალიმალ იწმენდდა სიმწრის ოფლს და ხალხისაკენ მიხედვას ვერ ბედავდა.

მოსამართლეს დინჯად, აუჩქარებლად მიჰყავდა პროცესი. ხალხი სულგანაბული უსმენდა ექსპერტის დასკვნას, რომლითაც მტკიცდებოდა კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარის დანაშაულობანი. დაკითხეს მოწმეებს, დაიწყო მხარეთა კამათი.

პროკურორის გამოსვლის შემდეგ მოსამართლემ გამოაცხადა — სიტყვა ეძლევა ბრალდებულის დამცველს ედუარდ შუმაბერიძესო...

დარბაზში ზოგიერთმა გაიღიმა, ბევრმა ერთმანეთს ეშმაკურად გადახედა. „პატივცემულ ვეჭილს“ ყველა იცნობს და წინასწარ იციან, რას იტყვის და როგორ იტყვის. იციან, მაგალითად, რომ ედუარდს შეუძლია ჯადოქრულად მოგვაჩვენოს თეთრი შავად, ან შავი თეთრად.

ედუარდმა თმაზე ხელი გადაისვა, ჩაახველა და ყალბი პათოსით, ხმამაღლა დაიწყო:

— პატივცემულო მოსამართლენო! დღეს თქვენ არჩევთ საქმეს ერთი უწყინარი და ყოვლად პატიოსანი კაცისას. აი, შეხედეთ, — გაიშვირა ხელი ბრალდებულისაკენ, — ეს ადამიანი მართალი რომ არ იყოს, განა ასე შერცხვებოდა? ჰოდა, მე ვამტკიცებ, რომ ეს კაცი მართალია. დიახ, ვამტკიცებ, რადგან ბრალდებულის ფსიქიკური შინაგანი შემეცნების ბუნებაში ასეთი რამ არ ყოფილა... აქ „პატივცემული“ ცოტა ხანს შეჩერდა. ალბათ სურდა აბდაუბდა სიტყვების აზრი მოსამართლეთა გონებაში როგორმე შესულიყო, და კვლავ რიხიანად განაგრძო:

— პატივცემულო მოსამართლენო! მე გულითადად მოხარული ვარ, რომ სწორედ თქვენ არჩევთ ამ საქმეს. სასამართლოს მაგიდას უსხედხართ საბჭოთა მართლმსაჯულების სახელგანთქმული წარმომადგენლები... დიახ, საბჭოთა იურისპრუდენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები (ახალგაზრდა მოსამართლეს გაეღიმა: აშკარად მლიქვნელობსო, —გაიფიქრა მან), ამიტომ, — განაგრძო ადვოკატმა, — მე იმედი მაქვს, რომ თქვენ დღეს გამოიტანთ ისტორიულ განაჩენს და ამ ადამიანს გაამართლებთ. ამას მოითხოვს საბჭოთა კანონები, ამას მოითხოვს მართლმსაჯულება...

თავისი სიტყვის შემდგომი ნაწილი ედუარდმა კვლავ „უდანაშაულო“ ბრალდებულის „უმწიკლობას“ მიუძღვნა. ისე გულუხვად აქო ბოროტმოქმედი, რომ ამ უკანასკნელსაც კი შერცხვა, ხოლო დარბაზის წინა რიგში მსხდომმა ადამიანებმა ყურებზე ხელი მიიფარეს.

ბოლოს დაღლილმა ვეჭილმა ხმას დაუწია და შინაურულად თქვა:

— პატივცემულო მოსამართლენო, ბოლოს და ბოლოს ჩვენ ბავშვები კი არა ვართ ამ მეცხვარეობის საკითხებში (ბრალდებულს ცხვრების მითვისება ბრალდებოდა). ჰო და, მე კიდევ მოვითხოვ ამ კაცის, როგორც სრულიად უდანაშაულოს, გამართლებას...

რა თქმა უნდა, ედუარდმა ვერ შეძლო შვის გათეთრება. სასამართლომ დამნაშავეს საკადრისი სასჯელი გამოუტანა და „პაყოფილი კოლმეურნეები სახლებში წავიდნენ. ჩვენ შეგვეძლო აქ დაგვესვა წერტილი. მაგრამ არ გვინდა მკითხველმა იფიქროს, თითქოს ბოლოს დავამახინჯეთ „პატივცემული ვეჭილის“ გამოსვლის ტექსტი. პირიქით, აქ მხოლოდ ის მოვიყვანეთ, რის ჩაწერაც მოვასწარით.

როგორც ამბობენ, ედუარდი ასე ლაპარაკობს ყველა სასამართლო პროცესზე, სადაც კი კლიენტები მიიწვევენ. გამოდის, რომ ყველა ბრალდებული მართალია, გამოდის რომ ჰონორარის გულისთვის ადვოკატს შეუძლია ილაპარაკოს ის, რაც ენაზე მოადგება.

სრულიადაც არა! საბჭოთა ადვოკატი საბჭოთა სასამართლოს კეთილსინდისიერი თანაშემწეა. იგი ეხმარება სასამართლოს ამა თუ იმ საქმის ფაქტიური მდგომარეობისა და მისი იურიდიული მხარის დადგენაში. საბჭოთა ადვოკატი, ასრულებს რა თავის მოვალეობას მარწმუნებლის წინაშე, ამავე დროს თავს ნებას არ აძლევს შეიყვანოს სასამართლო შეცდომაში, წავიდეს ჭეშმარიტების წინააღმდეგ.

ყველამ იცის, რომ ჩვენს ქვეყანაში მოლაყბენი არ უყვართ, არ უყვართ ფრაზიორები, რომელთა სიტყვა ისევე შორსაა ჭეშმარიტებისაგან, როგორც დედამიწისაგან. სამწუხაროდ, ეს ასე როდი ესმის „პატივცემულ ედუარდს“, ასე როდი ესმის ზოგიერთ ამხანაგს თბილისის ოლქის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმიდან, რომლებიც ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ადვოკატთა კადრების აღსაზრდელად, მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ა. თოდუაძე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

რედაქციის სიგნალის საფუძველზე ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ღორეშის პირველი უბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მ. მესხიშვილს საკოლმეურნეო წესდების დარღვევისათვის პარტიის რაიკომმა დაადო პარტიული სასჯელი. კოლმეურნეობის მოანგარიშე პ. სამხარაძე მოხსნილია სამუშაოდან, ხოლო საწყობის გამგე ვ. ორჯონიკიძე მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში.

* * *

გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 20 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ ფელეტონში სათაურით „გაყრა“ მოყვანილი ფაქტები პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მიერ შემოწმებით დადასტურდა.

რაიკომის ბიურომ სახალხო მოსამართლე ი. მეტრეველს არასწორი გადაწყვეტილების გამოტანისათვის დაადო პარტიული სასჯელი.

სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ გაუქმა ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს არასწორი გადაწყვეტილება.

* * *

სოფლკორის სიგნალის საფუძველზე ჭიათურის რაიონის ბერეთისის საკავშრო წერტილის თანამშრომლები ტაბატაძე და კვიჟინაძე სხვადასხვა დანაშაულისათვის მიცემული არიან პასუხისგებაში.

* * *

— სოფელ ალპანის კოლმეურნეობაში ადგილი აქვს ჰირუტყვისა და ფრინველის სიკვდილიანობას, საერთო კრებისა და გამგეობის დადგენილების გარეშე პროდუქტების გაყიდვას, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშ დარღვევას, — გვწერდა სოფლკორი. წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა პარტიის ცაგერის რაიკომს.

როგორც პარტიის ცაგერის რაიკომი გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიუროს დადგენილებით კოლმეურნეობის თავმჯდომარეს რ. ფრუიძეს არტელის წესდების დამახინჯებისათვის დაედო სასტიკი პარტიული სასჯელი. პარტიული სასჯელი დაედოთ აგრეთვე ყოფილ უფროს მოანგარიშეს ე. გაგოშიძეს, სასოფლო საბჭოს აღმასკომის ყოფილ თავმჯდომარეს ს. ხვადაგიანს, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ი. ჯანაძეს.

პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ფრუიძე კოლმეურნეობაში დარღვევების წინააღმდეგ ზომების მიუღებლობისათვის მოხსნილ იქნა პარტიული ორგანიზაციის მდივნობიდან და დაედო პარტიული სასჯელი.

კოლმეურნეობის ავტომანქანის მძღოლი შ. ფრუიძე საკარმიდამო ნაკვეთის ყიდვისათვის მიცემულია პასუხისგებაში. სამუშაოდან მოიხსნა საწყობის გამგე შ. ფრუიძე. კოლმეურნეობის კრებას რჩევა მიეცა, რომ სამუშაოდან მოხსნას სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე თ. ფრუიძე, რომელიც კონტროლს არ უწევდა და არ ამოწმებდა კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობას.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინასაარჩევნო მიმართვა

სოფია, 10 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ყველა გაზეთი აქვეყნებს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ბულგარელი ხალხისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ 14 დეკემბერს მოეწყობა მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საოკოლიო, საქალაქო, რაიონული და სასოფლო სახალხო საბჭოების არჩევნები.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ მომავალ არჩევნებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ბულგარეთის სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცებისათვის, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში.

როგორც ხაზგასმით აღნიშნულია მიმართვაში, სამშობლოს სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს, რომ სახალხო საბჭოებში არჩეულ იქნან ბულგარელი ხალხის ყველაზე ერთგული და თავდადებული შვილები.

ბულგარეთი უმაგალითო პოლიტიკურ, საგეურნეო და კულტურულ აღმავლობას განიცდის და საბჭოთა ხალხის ძმური დახმარებით და დიდი სტალინის მამობრივი მზრუნველობით ხდება განვითარებული სოციალისტური მრეწველობის, მექანიზებული სოფლის მეურნეობის, განუწყვეტლივ მზარდი ეროვნული კულტურის ქვეყანად.

მიმართვა მთავრდება მოწოდებით—ხმა მისცენ სამამულო ფრონტის კანდიდატებს.

ჩინეთის კინოს მუშაკთა საჩუქარი ვენის კონგრესს

პეკინი, 11 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს ცნობით, ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესზე უჩვენებენ დოკუმენტალურ ფილმს „გაუმარჯოს მშვიდობას", რომელშიც ასახულია აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესი. ეს ფილმი ჩინეთის კინოს მუშაკებმა უძღვნეს ვენის კონგრესს.

ჩინური დოკუმენტალური ფილმი (პეკინის კინოსტუდიის გამოშვება) დუბლირებულია რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

მშვიდობისათვის ბრძოლა ბრაზილიაში

მონტევიდეო, 10 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთ „იმპრენსა პოპულარის" ცნობით, ამ დღეებში რიო-დე-ჟანეიროში გენერალ ბუქსბაუმის მეთაურობით გაიმართა მშვიდობის მომხრეთა ბრაზილიის ფედერალური ოლქის კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ ბრაზილიის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები, ინტელიგენციის, მუშათა კლასის წარმომადგენლები, პროფკავშირული მოძრაობის ხელმძღვანელები.

კონფერენციამ დაამთავრა ფართო კამპანია ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მოწვევისა და ამ კონგრესში ბრაზილიის მონაწილეობისათვის. კონფერენციაზე განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ომის საფრთხის ზრდასთან და მშვიდობისათვის ბრძოლის გაძლიერების საჭიროებასთან.

კონფერენციამ ერთხელ კიდევ დაადასტურა ბრაზილიელი ხალხის მისწრაფება მშვიდობისადმი. კონფერენციის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ გენერალ ბუქსბაუმის სიტყვებს: „დარწმუნებული ვართ, რომ ვერავინ ვერ ჩაითრევს ჩვენს ხალხს ომში".

კონფერენციაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც გმობს კორეის ომს და მოითხოვს კორეიდან უცხოეთის მთელი ჯარების დაუყოვნებლივ გამოყვანას. კონფერენციის მონაწილეებმა დაგმეს სამხედრო შეთანხმება ამერიკის შეერთებულ შტატებთან, როგორც „ომში ბრაზილელი ხალხის ჩათრევის ინსტრუმენტი".

კონფერენციაზე აირჩიეს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის დელეგატები.

იაპონიის პარლამენტში

შანხაი, 10 დეკემბერი. (საკდესი). როგორც იაპონური გაზეთი „ასახი" იუწყება. გუშინ ქვედა პალატის იურიდიული კომისიის სხდომაზე იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის საქმეთა განყოფილების უფროსმა ოკაბარამ ილაპარაკა საარჩევნო კანონის დარღვევის შესახებ პარლამენტის არჩევნების ღროს, რაც მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს მოეწყო.

როგორც ოკაბარამ განაცხადა, აქამდე რეგისტრირებულია საარჩევნო კანონის დარღვევის 46.010 შემთხვევა. 54 კაცი, რომლებმაც საარჩევნო კანონი დაარღვიეს, ამჟამად პარლამენტის დეპუტატია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია

მეექვსე კომიტეტში

ნიუ-იორკი, 10 დეკემბერი. (საკდესი). 9 დეკემბერს მეექვსე კომიტეტმა დაამთავრა განხილვა საკითხისა აგრესიის განსაზღვრის შესახებ და მიიღო ავღანეთის, ირანისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა რეზოლუციის პროექტი, რომლითაც გათვალისწინებულია შეიქმნას სპეციალური კომიტეტი 15 სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან, რათა კომისიამ შეიმუშაოს და გენერალური ასამბლეის მე-9 სესიას წარუდგინოს აგრესიის განსაზღვრის პროექტები ანდა ცნება „აგრესიის" განმარტების პროექტები.

ჩაიშალა ამერიკა-ინგლისის ბლოკის ცდა რაღაც უნდა დაჯდომოდა ჩაეფუშა აგრესიის განსაზღვრის მომზადება.

მეექვსე კომიტეტში საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკის გამოსვლებმა ამხილა აგრესიის განსაზღვრაზე ამერიკა-ინგლისის ბლოკის წარმომადგენელთა უარის თქმის ნამდვილი მოტივები და მათი ცდა ხელი შეეშალათ ამ საკითხის განხილვისათვის. მეექვსე კომიტეტის დელეგატთა უმრავლესობამ თავის გამოსვლებში ამა თუ იმ ფორმით ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთა მიღებულ იქნას აგრესიის განსაზღვრა.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი, რაკი დარწმუნდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წინადადება — განუსაზღვრელი ვადით საკითხის განხილვის გადადების შესახებ — განწირული იყო ჩასაშლელად, იძულებული გახდა ეს წინადადება მოეხსნა.

აგრეთვე ჩაიშალა საფრანგეთისა და თურქეთის წარმომადგენელთა ცდები, რომლებსაც მხარს უჭერდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია, — სხვადასხვა შესწორებით გაეუარესებინათ ავღანეთის, ირანისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების დელეგაციების მიერ შეტანილი რეზოლუცია. ეს შესწორებანი უარყოფილ იქნა.

ავღანეთის, ირანისა და სხვა ქვეყნების დელეგაციების მიერ შეტანილი რეზოლუციის განხილვისას საბჭოთა წარმომადგენელმა პ. დ. მოროზოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირის დელეგაციას მიაჩნდა და მიაჩნია, რომ აგრესიის განსაზღვრის მის მიერ შემოტანილი პროექტი შეიძლებოდა მიეღო გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიის. მაგრამ მთელმა რიგმა დელეგაციებმა, რომლებიც მხარს უჭერენ საბჭოთა წინადადებას აგრესიის განსაზღვრის საჭიროების შესახებ, განაცხადეს, რომ მათ მიზანშეწონილად მიაჩნიათ შეიქმნას სპეციალური კომიტეტი ამ საკითხის განსახილველად. სსრ კავშირის დელეგაცია, თქვა მოროზოვმა, მზად არის დაამაყოფილოს სურვილი იმ დელეგაციებისა, რომლებიც ემხრობიან აგრესიის განსაზღვრას და საჭიროდ მიაჩნიათ შეიქმნას ხსენებული სპეციალური კომიტეტი, რადგან მათ მხედველობაში აქვთ, რომ აგრესიის განსაზღვრის საბჭოთა პროექტი განხილულ იქნება სპეციალურ კომიტეტში.

ავღანეთის, ირანისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნებიან წარმომადგენელთა მიერ შეტანილი რეზოლუციის მიღებას ხმა მისცა 36 დელეგაციამ, მათ შორის სსრ კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, ეგვიპტის, სირიის, იემენის, ინდონეზიის, ბირმის წარმომადგენლებმა. ამ რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა მისცა ცხრა დელეგაციამ: ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ბელგიის, შვეიცარიის, ბრაზილიის, ლუქსემბურგის, ტაილანდის დელეგაციებმა. ცხრა დელეგაციის: საფრანგეთის, კანადის, ინდოეთის, თურქეთის, ვენესუელის, არგენტინის, ჰონდურასის, კოლუმბიისა და დანიის წარმომადგენლებმა კენჭისყრაში თავი შეიკავეს.

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 11 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ პოლიტიკური კომიტეტის დილის სხდომაზე განიხილავდნენ პაკისტანის დელეგაციის წინადადებას — მოწვეულ იქნას ტუნისის წარმომადგენელი ტუნისის საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

სსრ კავშირის, პაკისტანის, ირანის, სირიის, ეგვიპტისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას. სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა აღნიშნა, რომ ტუნისის, როგორც უშუალოდ დაინტერესებული მხარის, წარმომადგენლის მონაწილეობა საკითხის განხილვაში შესაძლებლობას მისცემდა კომიტეტს მიეღო ძვირფასი ინფორმაცია ტუნისში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და ამით დახმარებას გაუწევდა მას გარკვეულიყო ურთიერთ ვითარებაში.

როგორც მოსალოდნელი იყო, კოლონიური სახელმწიფოების წარმომადგენლებმა შეერთებული შტატებისა და ინგლისის მეთაურობით გაილაშქრეს ტუნისის წარმომადგენლის მოწვევის წინადადების წინააღმდეგ. კოლონიურ სახელმწიფოებს მიემხრნენ პერუს, ეკვადორის, დომინგოს რესპუბლიკისა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების დელეგატები, რომლებიც მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას.

წინადადებას—მოწვეულ იქნას ტუნისის წარმომადგენელი, რათა მონაწილეობა მიიღოს ტუნისის საკითხის განხილვაში, ხმა მისცეს 24 ქვეყნის, მათ შორის სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, 13 არაბული და აზიური ქვეყნის, აგრეთვე გვატემალისა და ჩილის დელეგაციებმა. წინადადება უარყოფილ იქნა ორი ხმის უმეტესობით. ამით შეერთებული შტატებისა და სხვა კოლონიური სახელმწიფოების დელეგატებმა კვლავ ცხადყვეს თავიანთი მტრობა იმ ხალხთა ეროვნული მოთხოვნებისადმი, რომლებიც თავიანთი დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

საარჩევნო კანონის „რეფორმის" პროექტის განხილვა იტალიის დეპუტატთა პალატაში

რომი, 10 დეკემბერი. (საკდესი). დეპუტატთა პალატის გუშინდელ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა შინაგან საქმეთა მინისტრმა შელბამ. მან პასუხი გასცა დეპუტატებს, რომლებმაც დეპუტატთა პალატას მოუწოდეს არ განიხილოს მთავრობის კანონპროექტი საარჩევნო სისტემის „რეფორმის" შესახებ, რამდენადაც იგი არღვევს კონსტიტუციას.

შელბამ განაცხადა, რომ მთავრობას სავალდებულოდ არ მიაჩნია დაიცვას პროპორციული საარჩევნო სისტემა, თუმცა ეს სისტემა კანონია. შელბამ თქვა, რომ მთავრობის კანონპროექტი საარჩევნო კანონის „რეფორმის" შესახებ „მიზნად ისახავს წინააღმდეგობა გაუწიოს გარკვეული პოლიტიკური იდეოლოგიების გამარჯვებას".

შემდეგ კენჭი უყარეს ტოლიატის, ბასოს, დე მარტინოსა და ფერანდის წინადადებებს იმის შესახებ, რომ დეპუტატთა პალატამ არ განიხილოს ეს კანონპროექტი, რადგან იგი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. ეს წინადადებანი უარყოფილ იქნა 314 ხმით 180 ხმის წინააღმდეგ. ამის შემდეგ კენჭი უყარეს პიეტრო ნენის წინადადებას — გადაიდოს კანონპროექტის განხილვა მანამდე, სანამ დეპუტატთა პალატა მიიწოვნებდეს კონსტიტუციით გათვალისწინებულ კანონებს საკონსტიტუციო პალატის შექმნისა და სახალხო რეფერენდუმის შესახებ. ნენის წინადადება უარყოფილ იქნა 297 ხმით 207 ხმის წინააღმდეგ.

პირველი კენჭისყრისაგან განსხვავებით მეორე კენჭისყრა ფარული იყო, როგორც გაზეთი „ავანტი" აღნიშნავს, 18 დეპუტატმა — ქრისტიანმა დემოკრატმა და 9 დეპუტატმა — ლიბერალმა ხმა მისცა ამ წინადადებას, დარწმუნებულმა, რომ მათ სახელს ვერ გაიგებს მათი პარტიის ხელმძღვანელობა.

მთავრობის კანონპროექტის გამო დისკუსიაში სიტყვა წარმოთქვა დეპუტატმა — დამოუკიდებელმა ლიბერალმა და ყოფილმა მინისტრმა ეპიკარხო კორბინომ. მან განაცხადა, რომ მმართველმა ქრისტიან დემოკრატთა პარტიამ საარჩევნო სისტემის „რეფორმის" პროექტი იმიტომ წამოაყენა, რომ არ დაეკარგა პარლამენტში უმრავლესობა, მიუხედავად იმისა, რომ მან დაკარგა ამომრჩეველთა ხმები. 1951 და 1952 წლების მუნიციპალურმა არჩევნებმა, თქვა კორბინომ, დამარცხება მოუტანა ქრისტიან დემოკრატებსა და მათ მოკავშირეებს, ხოლო ამჟამად ისინი ცდილობენ თავიდან აიცილონ ამ დამარცხების შედეგები, შემოიღონ კანონი, რომლის მიზანია უზრუნველყოს მათთვის პარლამენტში უმრავლესობა, რომელიც მათ უკვე აღარ ჰყავთ სახელმწიფოში.

კორბინომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობის კანონპროექტის ერთადერთი მიზანია წაართვას ოპოზიციის პარტიებს 80-ზე მეტი ადგილი პარლამენტში.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 10 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 10 დეკემბერს გამოაქვეყნა ცნობა:

განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მარაოლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 და დააზიანეს 11 თვითმფრინავი.

ამერიკელი ინგერვენტების დანაშაულობანი სამხედრო ფყვეთა ბანაკებში

ფხენიანი, 10 დეკემბერი. (საკდესი). კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო აქვეყნებს თავისი პანმინჯონელი სპეციალური კორესპონდენტის ცნობას, სადაც მოყვანილია ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, თუ ნამდვილად რას ნიშნავს სამხედრო ტყვეების „ნებაყოფლობითი რეპატრიაცია", რომელზეც ამერიკელი აგრესორები ლაყბობენ.

ცნობაში ნათქვამია, რომ 1951 წლის 7 ოქტომბერს კუნძულ ჩეჯუდოს სამხედრო ტყვეთა ბანაკის 86-ე სექტორში ჩან კაი-შის ჟანდარმებმა აიძულეს ტყვე ჩინელი სახალხო მოხალისეები მომზადებულიყვნენ გომინდანელთა 10 ოქტომბრის დღესასწაულისათვის. არც ერთმა ტყვემ არ შეასრულა ჟანდარმების მოთხოვნა. მაშინ ამერიკელმა ჯარისკაცებმა და ჩან კაი-შის ჟანდარმებმა სროლა აუტეხეს ტყვეებს, მოკლეს ერთი და დაჭრეს 20 კაცი.

ერთი კვირის შემდეგ, 1951 წლის 15 ოქტომბერს, კუნძულ ჩეჯუდოს № 72 სექტორში ათ ტყვე ჩინელ სახალხო მოხალისეს სასტიკად სცემეს თოფის კონდახით, რის შედეგადაც ზოგიერთი მათგანი მოკვდა. ეს ცემა მას შემდეგ მოხდა, რაც სამხედრო ტყვეებმა უარი თქვეს შესულიყვნენ სექტორში, რომლის შესასვლელის თავზე გამოკიდებული იყო გომინდანელთა აღმები. როცა ამერიკელებმა სცადეს ტყვეებისათვის ხელებზე გამოესვრარანგებინათ წარწერა: „ჩვენ კომუნიზმის წინააღმდეგი ვართ", № 87 სექტორის ჩინელმა სახალხო მოხალისემ ჩაო მინმა დაიძახა: „ჩვენ არ გვინდა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტების საზარბაზნე ხორცი გავხდეთ". ჩაო მინი დაჯაბანტრეს ჩან კაი-შის ჟანდარმებმა, სასტიკად აწამეს და ზღვაში გადაისროლეს.

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიქმნა სახელმწიფო კლასიკური სამხატვრო თეატრი

ფხენიანი, 10 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიქმნა სახელმწიფო კლასიკური სამხატვრო თეატრი. თეატრის შექმნისადმი მიძღვნილ სტატიაში გაზეთი „ნოდონ სინმუნი" წერს, რომ ახლად შექმნილი სახელმწიფო კლასიკური სამხატვრო თეატრი განავითარებს და პროპაგანდას გაუწევს ეროვნულ კლასიკურ კორეულ მუსიკას—კორეულ ეროვნულ ოპერას („ჩანგიკ"), ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 10 დეკემბერი. (საკდესი). საფრანგეთის ეროვნულ კრებაში გუშინ კენჭი უყარეს მთავრობისადმი ნდობის საკითხს. დემოკრატიული წრეების შეფასებით ნდობის საკითხი დაყენა პრემიერ-მინისტრმა პინეემ, რათა თავიდან აეცილებინა საბინაო და სამრეწველო მშენებლობის საბიუჯეტო ასიგნებათა შესახებ კამათი, რომელიც მოითხოვა კომუნისტური პარტიის პარლამენტო ჯგუფმა, და რათა ეიძულებინა პარლამენტი დაუყოვნებლივ შესდგომოდა ეროვნულ-დებული საფინანსო კანონპროექტის განხილვას.

პინეის კაბინეტს ნდობა გამოუცხადა 300 დეპუტატმა, წინააღმდეგ მისცა ხმა 291 (კომუნისტები, პროგრესული რესპუბლიკელები, სოციალისტები და ფრანგი ხალხის გაერთიანების წევრები). ამრიგად, კაბინეტი გადარჩა მხოლოდ 9 ხმის უმეტესობით. კათოლიკური პარტიის 15 დეპუტატმა, პარტიისა, რომელიც, როგორც ცნობილია, მხარს უჭერს პინეს, კენჭისყრაში მონაწილეობისაგან თავი შეიკავა.

გაზეთი „ლუმანიტე" ხაზგასმით აღნიშნავს: ამ კენჭისყრის შედეგები მოწმობენ, რომ საფრანგეთში ძლიერდება უკმაყოფილება ახლანდელი მთავრობის პოლიტიკის გამო, რაც აიძულებს სოციალისტებსა და დეგოლელებს, რომლებსაც ეშინიათ ამომრჩეველთა თვალში ნდობია საბოლოოდ დაკარგვისა, მთავრობის უმრავლესობის წინააღმდეგ გაილაშქრონ პარლამენტში.

სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატი

10 დეკემბერს რკინიგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლში გაიმართა სსრ კავშირის მეოცე საჭადრაკო ჩემპიონატის დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება.

სულ ორი სვლა გააკეთეს ბოტვინიკ-სიმაგინის გადადებულ პარტიაში. 43-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. სპისლოვმა, რომელიც გელერთან თამაშობდა, პაიკების დაბოლოებაში ბრწყინვალე ტექნიკა გამოამჟღავნა და გამარჯვებას მიაღწია. არონინმა ზუსტად გაანაღდა თავისი მატერიალური უპირატესობა პარტიაში ტოლუშის წინააღმდეგ და აიძულა იგი დანებებულიყო. ყაიმით დამთავრდა გოლდენოვ-არონინის პარტია. სმისლოვმა წაგო ბივშევთან. კონსტანტინოპოლსკი — კასპარიანის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

ტურნირის დანარჩენი დაუმთავრებელი პარტიები გადაიდო.

ამრიგად, რვა ტურის შემდეგ შეჯიბრების მონაწილეთა მოწინავე ჯგუფის მდგომარეობა ასეთია: გროსმაისტერებს ბოტვინიკს (მოსკოვი), ბოლესლავსკის (მინსკი) და ოსტატ კორჩნოის (ლენინგრადი) აქვთ 5,5 ქულა თვითეულს. (საკდესი).

თბილისის პირველობაზე

ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „პიშჩევიკის" საჭადრაკო კლუბში რამდენიმე დღეა გრძელდება შეჯიბრება ჭადრაკში თბილისის პირველობისათვის. საქალაქო ჩემპიონატში ჩაბმული არიან ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მოწინავე მოჭადრაკეები, ოსტატობის კანდიდატები და პირველთანრიგოსნები, მათ შორის ერთი მოჭადრაკე ქალი.

ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული 3 მოჭადრაკე მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკურ ჩემპიონატში.

დღემდე მოეწყო 4 ტური. მეოთხე ტურში დამთავრდა მხოლოდ ორი პარტია. ა. ჯაკობიამ მოუგო ქ. გოგიაკვს, ხოლო ლ. შათაშვილი და ვეიზერი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

4 ტურის შემდეგ საქალაქო ჩემპიონატის ლიდერები არიან ა. ჯაკობია, თ. კალატოზიშვილი და ლ. ზაიჩიკი, რომლებსაც შეგროვებული აქვთ 2 ქულა თვითეულს.

თბილისის პირველობა ჭადრაკში გაგრძელდება 15 იანვრამდე.

დღეს გაიმართება მე-5 ტური.

უძლიერესთა შეხვედრები თავისუფალ ჭიდაობაში

ბაკო. („კომუნისტის" სპეც. კორ.). 10 დეკემბერს გრძელდებოდა უძლიერესთა ასპარეზობა თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის 1952 წლის პირად-გუნდური პირველობისათვის. მრავალ შეჯიბრებაში სახელგანთქმული მოჭიდაველებთან ერთად წარმატებით იბრძვიან ახალგაზრდა სპორტსმენები, რომელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

10 დეკემბრისათვის საკავშირო ჩემპიონატის წინასწარი შეხვედრები საპრიზო ადგილებისათვის მებრძოლთა გამოსავლინებლად ძირითადად დამთავრებული იყო. მოსკოვის, აგრეთვე რსფსრ რესპუბლიკისა და უკრაინის სპორტსმენებთან ერთად მაღალი ფიზიკური და ტექნიკური მომზადებით გამოირჩეოდნენ საქართველოს მოჭიდავეები.

ჩემპიონატის მეოთხე დღისათვის საქართველოს გუნდიდან ფინალში გასული იყვნენ: ვ. გიგიაძე და შ. ნოზაძე (მჩატე წონა), ნ. მუზაშვილი და ზ. დენტროშვილი (ქვემსუბუქი წონა), ვ. ილურიძე (მსუბუქი წონა), ვ. ბალავაძე (ქვესაშუალო წონა), დ. ციმაკურიძე (საშუალო წონა).

პირველობის გათამაშების მე-4 დღეს მეორე დამარცხება განიცადა და ფინალში მონაწილეობის უფლება დაკარგა საშუალო წონის მოჭიდავე გ. სხირტლაძემ.

გუშინ, 11 დეკემბერს, გაიმართა დასკვნითი შეჯიბრება.

ა. კახნიაშვილი — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი

დოცენტმა ა. კახნიაშვილმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ორგანული ქიმიის ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია—„გამოკვლევა პოლიენურ ნაერთთა სფეროში".

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დამტკიცა დოცენტ ა. კახნიაშვილისათვის ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭება.

გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის

მოსკოვიდან დაბრუნდა ჯგუფი საქართველოს მოდელების სახლის სპეციალისტებისა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მოდელების სახლების მხატვრებისა და კონსტრუქტორ-მოდელიერების საკავშირო მეთოდურ თათბირში. ამ თათბირზე განხილულ იქნა 1953 წლის გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის მზადების საკითხები.

თათბირზე საქართველოს მოდელების სახლის მიერ წარდგენილი ტანსაცმლის მოდელებიდან 65-მა მიიღო სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მთავარი სამკერვალო სამართველოს სამხატვრო საბჭოს მაღალი შეფასება და რეკომენდებულია წარმოებაში გასაშვებად.

თბილისელმა მოდელიერებმა — კონსტრუქტორებმა და მხატვრებმა ა. კალანდაძემ, ე. სარქისიანმა, ტ. კალანდაძემ, ზ. ორლოვამ და სხვ., რომლებიც თათბირს ესწრებოდნენ, დაათვალიერეს მოსკოვის ბევრი სამკერვალო ფაბრიკა.

ამჟამად საქართველოს მოდელების სახლი ამზადებს 50-ზე მეტ მოდელს ახალი წლიდან წარმოებაში დასანერგად.

ხელოვნების ქრონიკა

„ხევისბერი გოჩა" სომხურ ენაზე

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი რეჟისორი დ. ანთაძე თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის კოლექტივთან ერთად დასადგმელად ამზადებს სტალინური პრემიის ლაურეატის ს. შანშიაშვილის პიესას „ხევისბერი გოჩა".

სპექტაკლს აფორმებს მხატვარი მ. კირაკოსიანი, მუსიკა დაწერა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კ. მეღვინეთ-უხუცესმა.

სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები ა. ლუსინიანი (ხევისბერი გოჩა), ბ. ნერსესიანი (ონესე), ე. სტეპანიანი (ძიძა), ვ. ეხშატიანი (მათია), ლ. ალავერდიანი (ხატილა) და სხვ.

„ოთარაანთ ქვრივი" ჭიათურის თეატრში

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი" (ინსცენირებული გ. ბერძენიშვილის მიერ). სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა პ. ფრანგიშვილმა, რეჟისორია მ. ვაშაძე, მხატვრულად გაფორმა მ. აბეფანდაძემ.

როლებს ასრულებენ: საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თ. აბაშიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები მ. ვაშაძე და გ. ნუცუბიძე; მსახიობები ა. დათებაშვილი, ნ. ქუთათელაძე, ა. მოსეშვილი, ვ. სვანელი, ა. ბარათაშვილი, მ. კუსიანი, ბ. ლოლაძე, ნ. ქამუშაძე, შ. ბანეთიშვილი, ვ. ვაშაძე, გ. მოდებაძე და სხვ.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

„ოჯახის ნამუსი" თელავის თეატრში

თელავი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს აჩვენა სტალინური პრემიის ლაურეატის ჰუსეინ მუხთაროვის პიესა „ოჯახის ნამუსი". პიესა დადგა რეჟისორმა რ. ქორთველიშვილმა. მხატვრობა ეკუთვნის ა. პეტრაიტისს, მუსიკალური გაფორმება შ. კიკვიძეს.

პიესაში როლებს ასრულებენ მსახიობები: გ. მამუჩიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. ივერიელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი პ. ახვლედიანი, თ. მანველიშვილი, დ. სხირტლაძე, ბ. ჯავახია, მ. აბაშიძე და ს. მანაშვილი.

„რევიზორი" თბილისის კინოთეატრებში

10 დეკემბრიდან თბილისის კინოთეატრებში —„რუსთაველში", „სპარტაკში", „ოქტომბერში", „კომკავშირელში" და „ისანში" დაიწყო კინოსტუდია „მოსფილმის" ნაწარმოების—ახალი ფერადი მხატვრული ფილმის „რევიზორის" ჩვენება. დიდი რუსი მწერლის და სატირიკოსის ნ. ვ. გოგოლის უკვდავი კომედია „რევიზორი" სცენარულად დაამუშავა და დადგა ვ. პეტროვმა, მთავარი ოპერატორია ი ეკელჩიკი, მხატვარი ვ. კაპლუნოვსკი, მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ ნ. ტიმოფეევს.

სურათი „რევიზორი" არ არის სპექტაკლის ზუსტი ეკრანიზაცია. მოქმედება ზოგჯერ გატანილია ოთახს გარეთ. მთავარ როლებში თამაშობენ თეატრისა და კინოს მსახიობი ი. გოლუბეევი (გოროდნიჩი) და ახალგაზრდა მსახიობი ი. გორბაჩოვი (ხლესტაკოვი).

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1952 წ. 24 დეკემბერს დღის 1 საათზე, № 107 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **რუსუდან მიხეილის ასული გაჩეჩილაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„კონტაქტის გამოხატვის საშუალებანი თანამედროვე ინგლისურ ენაში".**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი **ა. შანიძე,**

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **მ. იანქოშვილი.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1952 წლის 23 დეკემბერს, დღის 1 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8), ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე **გიორგი ერმალოს-ძე შალამბერიძე** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ზმნისართი ძველ ქართულში".**

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ქ. ბ. ლომთათიძე** და ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი **ი. ი. ქავთარაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სამუშაო საათებში ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული).

ზამთრის დადგომასთან დაკავშირებით, თბილწყალსადენი აფრთხილებს ყველა აბონენტს, წესერ მდგომარეობაში მოიყვანონ წყალსაზომების ჭა და არმატურა—შეფუთონონ წყალსაზომები, სუფთად იქონიონ წყალსაზომების ჭა. თუ წყალსაზომი დაზიანდა ყინვისაგან აბონენტის დაუდევრობით, სახლს შეუწყდება წყალის მიწოდება, აბონენტი დაჯარიმდება, და გადახდება წყალსაზომის ღირებულება.

თბილწყალსადენის სამმართველო

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის შრატებისა და ვაქცინების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობათა დასაკავებლად:

1. ეპიდ. განყოფილების გამგე—მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 2. ბრუცელოზის განყოფილების გამგე—მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 3. მიკრობიოლოგიური განყოფილების გამგე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 4. სავაქცინო განყოფილების გამგე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 5. საკვები ნიადაგების განყოფილების გამგე—მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი, 6. ვირუსული ინფექციის ლაბორატორიის გამგე—მედიცინის მეცნიერებათ